№28(29) 19.07.1991

სარბიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი

ფასი 40 კაპიკი

საქართველოს მენეჯერთა კავშირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომერშია:

ამბავი უძლეველი „პინგვინებისა“

„სტენლის თასის“ ახალი მფლობელი

მე-6 გვერდი

„სილვერსტოუნის“ გამოცანა

მენსელმა მოიგო თუ სენამ წააგო?

მე-6 გვერდი

ეჰ, ბებეტო, ბებეტო...

ბრაზილიის ნაკრების გასაჭირი

მე-7 გვერდი

მართლაც ემუქრება საფრთხე ჩოგბურთს?

იტფ-ს ახალი პრეზიდენტი ჰყავს

მე-8 გვერდი

გია ახალაძის ფოტო

მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩი: „აია“ — „ვესტა“ 11:6. უდიდესი დაძაბულობა, შეუპოვარი ბრძოლა ატალახებულ მინდორზე... ერთი სიტყვით, ამ უდავოდ საინტერესო თამაშის ხასიათი ამ ფოტოზე მართლაც კარგად ჩანს. „სარბიელის“ სპეციალური კორესპონდენტების რეპორტაჟი ჭუთაისიდან იხილეთ მეორე გვერდზე.

ნაკრებსათხილამურო სპორტში ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდიუმმა ამ დღეებში იმსჯელა ფოთში წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატზე პრეს-ცენტრის მოწყობის თაობაზე. პრეს-ცენტრის გამართული მუშაობის, ჩემპიონატზე აკრედიტებულ ჟურნალისტთათვის ნორმალური სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მთელ რიგ საკითხთა მოგვარება. ამასთან დაკავშირებით შევიმუშავეთ კონკრეტული წინადადებები და მზად ვართ ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს უახლოეს სხდომაზე გავაცნოთ ჩვენი შეხედულებები.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია

ევროპული მეჯლისი «ოქროს ტბაზე»



დღეს „ოქროს ტბაზე“ შტილია. ეს დროებითი სიმშვიდეა, მაგრამ ცოტა ხანში აქ წყალი „ადუღდება“ — ევროპის უძლიერესი წყალმოთხილამურეები სწორედ „ოქროს ტბაზე“ იბრძოლებენ კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედლებისათვის. წინასწარი მონაცემებით ფოთში იასპარეზებენ: საფრანგეთის, იტალიის, საბერძნეთის, გერმანიის, ინგლისის, შვეიცარიის, შვეციის, დანიის, პოლანდიის, ნორვეგიის, ჩეხეთსლოვაკეთის, ბულგარეთის, ესპანეთის, პორტუგალიის, სსრკ-ს ნაკრები გუნდები. საქართველოს სპორტსმენები გამოვლენ დამოუკიდებელ გუნდად.

როგორ ეგებება ფოთი ამ დიდ სპორტულ დღესასწაულს? ამის თაობაზე სპეციალური კორესპონდენტები „სარბიელის“ მე-4 გვერდზე მოგვითხრობენ.

რა ხდება...

ამჟამად პოდოლსკში შეკრებას გადის საბჭოთა კავშირის ძიუდოისტთა ნაკრები, რომელიც ემზადება მსოფლიო ჩემპიონატისათვის. როგორც გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ იუწყება 17 ივლისის ნომერში, ნაკრების კანდიდატთა შორის არიან სოხუმელი ვლადიმერ დგებუაძე და ჭუთაისელი დავით ხახალეიშვილი. მათი მწვრთნელები თემურ არჭანია და ომარ მერაბიშვილი კი სპორტსმენების მზადებაში ეხმარებიან ნაკრების უფროს მწვრთნელს.

რა ხდება?..

განმარტებისთვის მივმართეთ საქართველოს ძიუდოს ფედერაციას. როგორც გაირკვა, სპორტსმენები თვითნებურად გაემგზავრნენ პოდოლსკში. ამავე დროს, სამი დღის წინ, საკავშირო სპორტსახკომს გაეგზავნა წერილი, რომელშიც საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო და რესპუბლიკის ძიუდოს ფედერაცია კატეგორიული წინააღმდეგნი არიან საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ქართველი ათლეტების მონაწილეობისა.

ფიდე-ს ახალი რეიტინგი

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია ყოველწლიურად 1 იანვარს და 1 ივლისს აქვეყნებს რეიტინგს მის მიერ გამართული ტურნირების შედეგების მიხედვით. უკანასკნელი მონაცემებით ქალთა შორის საუკეთესო ათეულში ლიდერობს უნგრელი იუდით პოლგარი — კოეფიციენტი 2550 (გათვალისწინებულია 39 ნათამაშები პარტია); მეორე ადგილზეა მისი და ჟუჟა — 2535 (50). შემდეგ მოდიან მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე — 2495 (23), შვედი პია კრამლინგი — 2485 (35), ჭეთევან არაბიძე — 2475 (43), ჩინელი სიუ ჩჟუნი — 2465 (18), ნანა იოსელიანი — 2445 (32), ალისა გალიამოვა (სსრკ) — 2435 (0), უნგრელი სოფია პოლგარი — 2430 (28) და ნონა გაფრინდაშვილი — 2425 (40).

ვაჟთა შორის საუკეთესო შედეგი აქვს მსოფლიო ჩემპიონს გარი კასპაროვს — 2770 (46). მეორე ადგილზეა ვასილი ივანჩუკი (სსრკ) — 2735 (18). შემდეგ მოდიან: ანატოლი კარპოვი — 2730 (58), ევგენი ბარეევი — 2680 (14), ვალერი სალოვი — 2665 (35).

როდის გვექნება კანონი?

— ახლო მომავალში. ასეთი პასუხი მივიღეთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სპორტისა და ტურიზმის ქვეკომისიისგან. „ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის ძირითად ვარიანტზე მუშაობა უკვე დასრულდა (იგი 20 მუხლისგან შედგება) და დაურიგდა უზენაესი საბჭოს წევრებს. კანონის პროექტი საყოველთაო განხილვისთვის პრესაში გამოქვეყნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხედან (მარცხნიდან): ემზარ გეგუჩაძე, ბათლომე ხამაშურიძე, დავით იობიძე, ხვიჩა გეგელია, პაატა ტყაბლაძე, თენგიზ ტურძელაძე, კახა გაბრიჩიძე, ნუგზარ ძაგნიძე. დგანან: გუნდის უფროსი გიზო ცქიტიშვილი, თემურ ბარდაველიძე, ემზარ ძაგნიძე, გიორგი ბაბუნაშვილი, ტიხონ ხახალეიშვილი, დავით გიორგობიანი, თამაზ ოდიშარია, თამაზ ფხაკაძე, ზურაბ რეხვიაშვილი, ზვიად ლიპარტელიანი, მამუკა ჰიქაბერიძე, ოლეგ ჟორჟოლიანი, უფროსი მწვრთნელი დუგლას კავთელაშვილი.

ტალახში „ნაპოვნი“ ოქრო

უთუოდ შეამჩნევდით: გაზეთის ერთ-ერთ წინა ნომერში გამოქვეყნებულ ცხრილში „აია“ ერთი ქულით უსწრებდა „ვესტას“, თუმცა, ორივე გუნდს ყველა გრაფაში ერთნაირი მაჩვენებელი ჰქონდა. ჩემპიონატის პირველივე ტურში თბილისელები ქუთაისში სათამაშოდ არ ჩავიდნენ, ერთი ქულა დაიკლეს და როგორც შემდეგ გაირკვა, სწორედ იმ ქულის გამო დაუთმეს გადამწყვეტი შეხვედრის მასპინძლობის უფლება ჩემპიონობისათვის ბრძოლაში თავიანთ ერთადერთ მეტოქეს. ახლა იმის გარკვევას არ შევუდგებით, თუ რა გავლენა იქონია ამ ფაქტმა ფინალის შედეგზე, შარშანდელ ამბებს კი შევახსენებთ: მაშინ „აია“ ვერც სტუმრად თამაშმა შეაკრთო და ვერც ფინალამდე რამდენიმე კვირით ადრე განცდილმა მარცხმა — დიდებულად გამოიყენა მეტოქის შეცდომები და გაიმარჯვა. წელსაც იგივე განმეორდა, ოღონდ — ქუთაისში.

წინადღით „გელათმა“ და „შევარდენმა“ ითამაშეს მესამე ადგილისათვის. ნადირაძის მიერ „დერეფანში“ მოპოვებული ბურთისა და ნახევარმცველთა მართებული თამაშის წყალობით თავიდანვე თბილისელებმა შეუტიეს. ჯერ მოდებაძემ შეაგდო საჯარიმო, ხოლო შემდეგ კვარაცხელიამ და იურინმა დვალი გაიყვანეს გარღვევაზე, რომელიც ზედ ლელოსთან შეაჩერა შანიძემ.

30-ე წუთზე თავსხმა წვიმა წამოვიდა და მაყურებელთა მხარდაჭერით გამხნევებულმა „გელათმა“ შეუტია. „შევარდენი“ ლიკლიკაძის, რუსაძის, ჯიმშელეიშვილისა და შანიძის შეტევებს კი გაუმკლავდა, მაგრამ მაჩიტიძის დარტყმების წინააღმდეგ უძლური აღმოჩნდა. ყველაფერი ერთ წუთში გადაწყდა: ქუთაისელთა ნახევარმცველის მიერ მეტოქის ლელოში შეგორებულ ბურთს პირველმა ფიოლიამ მიუსწრო. თბილისელებმა ლელოს გატანა საეჭვოდ მიიჩნიეს და მსაჯს შესჩივლეს, რისთვისაც მკაცრად დაისაჯნენ: მაჩიტიძემ კარში ზედიზედ ორჯერ დარტყმის უფლება მიიღო და, მართალია, გარდასახვა მიზანს ააცდინა, სამაგიეროდ ცენტრში დანიშნული საჯარიმო შეაგდო — 7:3. ამის შემდეგ კვლავ „შევარდენმა“ შეუტია, მაგრამ ატალახებულ მინდორზე ველარას გახდა, საკუთარ კარში კიდევ ერთი საჯარიმო მიიღო და გამარჯვება უფრო გამოცდილ მეტოქეს დაუთმო.

შაბათის წვიმამ „აიას“ და „ვესტას“ შეხვედრასაც დაამჩნია კვალი. ტალახში ფეხის მოკიდებაც ჭირდა, ხელით თამაშიც და განსაკუთრებით — კარში დარტყმა. ამან უფრო თბილისელები აზარალა, რაკილა უფრო ხშირად, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, ბურთს ისინი ფლობდნენ, თუმცა ეს ფაქტი „აიას“ გამარჯვებას არაფრით აკნინებს: „ვესტა“ ხომ მთელი თამაშის მანძილზე აგებდა და, ბუნებრივია, უნდა შეეტია კიდეც. შარშანდელისაგან განსხვავებით, ვერც იმას ვიტყვით, რომ ერთ მოთამაშეს, სახელდობრ — ნუგზარ ძაგნიძეს მიუძღვის განსაკუთრებული ღვაწლი — ამჯერად გამარჯვებაში ყველამ თანაბრად დაიდო წილი.

პირველივე წუთზე მომხდარი ეპიზოდი, როდესაც რეხვიაშვილმა ბურთის ფეხით დარტყმა არ აცალა მეტოქეს და კინაღამ ლელოც გაიტანა, შემდგომში კიდევ ორჯერ განმეორდა და ორჯერვე ლელოს გატანით დამთავრდა. მეთხუთმეტე წუთზე ოდიშარიას დაფარებულ ბურთს ნუგზარ ძაგნიძემ მიუსწრო და ანგარიში გახსნა, ხოლო მეორე ტაიმში ვირტუოზულად ითამაშა გეგუჩაძემ: მან ჯერ ბურთი წაართვა მეტოქეს, მერე ლელოში ფეხით შეაგორა და დამიწებაც ყველას დაასწრო.

პირველ ტაიმში საინტერესო ბევრი არაფერი მომხდარა. ჯერ იობიძემ გამოიჩინა თავი: შერკინებიდან თავად შეუტია, როდესაც ყველა პასს და ნუგზარ ძაგნიძის არეკნით დარტყმას ელოდა, შემდეგ კი ლუდუშაურის საკუთარი ლელოდან წამოწყებული შეტევა მისმა თანაგუნდელებმა განაგრძეს და შუა მოედნამდე მიაღწიეს.

შესვენების შემდეგ ჩავლეიშვილმა და ნუგზარ ძაგნიძემ თითო საჯარიმო შეაგდეს და თანდათან „ვესტას“ უპირატესობა გამოიკვეთა. თბილისელებმა ბურთის ხელით გათამაშება იწყეს, სამმეოთხედელებს დროულად ეხმარებოდნენ მორკინალები და შეტევაც საწინააღმდეგო მიმართულებით გრძელდებოდა, მაგრამ ეს თხუთმეტწუთიანი მონაკვეთი მოულოდნელად გეგუჩაძის გატანილი ლელოთი დასრულდა — 11:3.

ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა „ვესტამ“ ველარ შეძლო. მართალია, თამაშმა კვლავაც „აიას“ ნახევარზე გადაინაცვლა, მაგრამ ქუთაისელებმა ხერხი იხმარეს: რაკილა თბილისელთა დამრტყმელი იმ დღეს ფორმაში ვერ იყო, მასპინძლები წესის დარღვევას აღარ ერიდებოდნენ და გაუმართლათ კიდეც - სტუმრებმა ვერც მეტოქის 22-მეტრიან მოედანში შეაღწიეს და ჩავლეიშვილმაც მხოლოდ ერთი საჯარიმოს გატანა შეძლო.

მამუკა ჩიხლაძე,
გია ახალაძე (ფოტოები).
„სარბიელის“ სპეც. კორესპონდენტები.
ქუთაისი.

ეროვნული ჩემპიონატის ფინალური მატჩები.

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონის რაგბის მოედანი.

14 ივლისი. საქართველოს ჩემპიონობისათვის:

„აია“ (ქუთაისი) — „ვესტა“ (თბილისი) 11:6 (4:0).

მსაჯი: გოჩა აბაშიძე (თბილისი)

„აია“: ემზარ ძაგნიძე; გაბრიჩიძე, გეგუჩაძე, ტყაბლაძე, ხამაშურიძე; ნუგზარ ძაგნიძე, იობიძე; ხახალეიშვილი, ტურძელაძე, ბაბუნაშვილი; ფხაკაძე, გიორგობიანი, ოდიშარია, რეხვიაშვილი; ლიპარტელიანი.

„ვესტა“: მარჯანიშვილი; ალექსანდრე ხვედელიძე, ბესელია, თავაძე, საცერაძე; ჩავლეიშვილი, ქერაული; ბაკურაძე, ჯაფარაშვილი, კახა გიუნაშვილი; ნარიმანიძე, რაფავა, გია გიუნაშვილი, ლუდუშაური; ვართანიანი.

76-ე წუთზე მოედნიდან გააძევეს ვართანიანი.

ანგარიში: 4:0 (15-ე წთ. ნუგზარ ძაგნიძე — ლ); 4:3 (42-ე წთ. ჩავლეიშვილი — ს); 11:3 (47-ე წთ. ნუგზარ ძაგნიძე — ს; 62-ე წთ. გეგუჩაძე — ლ); 11:6 (66-ე წთ. ჩავლეიშვილი — ს).

13 ივლისი. მესამე ადგილისათვის:

„გელათი“ (ქუთაისი) — „შევარდენი“ (თბილისი) 10:3 (0:3).

მსაჯი: ზურაბ რეხვიაშვილი (თბილისი).

„გელათი“: შანიძე; სილაგაძე, ჯანაშია, მარიამიძე, თედოშვილი; მაჩიტიძე, მაღლაკელიძე; ბეშკენაძე, გაბიძაშვილი, სვანიძე; ნემსიწვერიძე, რუსაძე, ლიკლიკაძე, ფიოლია; ჯიმშელეიშვილი.

„შევარდენი“: ნიკა იურინი; დვალი, კვარაცხელია, გოგია, ფარცვანია; მოდებაძე, ჯანელიძე; ჩიქავა, ახვლედიანი, თავზარაშვილი; სორდია, პარწიკანაშვილი, ნადირაძე, მჭედლიშვილი; კაპანაძე.

ანგარიში: 0:3 (15-ე წთ. მოდებაძე — ს); 10:3 (58-ე წთ. ფიოლია — ლ; 58, 60-ე წთ. მაჩიტიძე — 2ს).

მერაბ მარჯანიშვილი ამჯერადაც შეაჩერეს ქუთაისელებმა

კომპრომისის მოლოდინში

ცნობა ქუთაისის „აიას“ მორაგბეთა გუნდის მოსალოდნელი საპროტესტო აქციის თაობაზე გაზვიადებული გამოდგა: „აიამ“ ითამაშა ფინალური მატჩი და საქართველოს ჩემპიონი გახდა. არადა, 11 ივლისს „ლელო“ გამოემშვიდობა „აიას“, საგონებელში ჩააგდო რაგბის მესვეურნი და გულშემატკივრები. „ლელოს“ პუბლიკაციას („მშვიდობით, „აია“!) დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. „აიასთან“ დაკავშირებული ამბებით, ბუნებრივია, ჩვენც დავინტერესდით. როგორც ირკვევა, კლუბის ხელმძღვანელობას გადაუწყვეტია გახდეს სასწავლო-საწვრთნელი ბაზის ერთადერთი მესაკუთრე, მაგრამ ქუთაისის სახლმშენებელი კომბინატი (რომლის სახსრებითაც ეს ბაზა აშენდა) უარზეა. კომბინატის დირექტორი რამაზ ახვლედიანი ამბობს: „ამ ბაზის აშენება და ტერიტორიის კეთილმოწყობა კომბინატს მილიონ მანეთზე მეტი დაუჯდა. „აიასთვის“ არავის აუკრძალავს იქ შესვლა და საწვრთნელი შეკრებების მოწყობა. ასე იქნება მომავალშიც, მაგრამ ბაზა, ისევე როგორც ავტობუსი, კომბინატის მშრომელთა საკუთრებაა და მუდმივ მფლობელობაში ვერავის გადავცემთ. ამის უფლება ჩვენ არა გვაქვს“.

„აიას“ ხელმძღვანელობამ (და არა მთელმა კოლექტივმა), როცა კომბინატის დირექციის პოზიცია შეიტყო, პროტესტის „უკიდურეს ფორმას“ მიმართა — თუ ბაზას და ავტობუსს ჩვენ არ გადმოგვცემთ, ეროვნულ ჩემპიონატის ფინალურ მატჩს ჩავშლითო. როცა ეს ამბავი გახმაურდა, საქმეში ჩაერია ქალაქის პრეფექტურა. გუნდს შეხვდა ქუთაისის პრეფექტი, ბატონი არჩილ კოსტავა, თუმცა, როგორც ჩანს, სადაო საკითხები ბოლომდე გარკვეული და გადაწყვეტილი არ არის. „აიას“ მთავარ მწვრთნელს დუგლას კავთელაშვილს მიაჩნია, რომ რაკი ბაზისათვის ტერიტორია მორაგბეებს გამოუყვეს და არა კომბინატს, მისი მეპატრონე სწორედ გუნდი უნდა იყოს. „აიას“ მისამართით საყვედური, აბა, ვის დასცდება. უდავოა ამ კოლექტივის დამსახურება ქართულ სპორტში, მაგრამ ისიც საკამათო არ უნდა იყოს, რომ „აიას“ გახმაურებულ წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი სახლმშენებელ კომბინატსაც მიუძღვის. მისი უანგარო ფინანსურ-მატერიალური დახმარების წყალობით გუნდს ვარჯიშის საუკეთესო პირობები ჰქონდა და ამის დაუნახაობაც უმადურობა იქნებოდა. სამწუხაროა, რომ კომბინატისა და ქუთაისელ მორაგბეთა მრავალწლიან ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა. ამით ხომ საერთო საქმე ზარალდება.

იმედია, სწორედ საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, კომპრომისი მოიძებნება. ეს პატარა წერილიც ამ სურვილით დაიწერა.

ემზარ გეგუჩაძემ (მარცხნიდან მეორე) დაცვაშიც კარგად ითამაშა და გადამწყვეტი ლელოც გაიტანა.

ფეხბურთი

მაინც იშევარდნებს «შევარდენი»

„შევარდენი“ საქართველოში ერთ-ერთი უძველესი სპორტული საზოგადოებაა. იგი საუკუნის დასაწყისში — 1906 წელს შეიქმნა. რაც შეეხება საფეხბურთო კლუბს, მას არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის II ლიგის IX ზონაში 80-იან წლებში გამოჩნდა. მან მალე დაიმკვიდრა ადგილი ლიგის ლიდერთა შორის. „შევარდენმა“ ნელ-ნელა შეავიწროვა ისეთი დიდი ტრადიციების მქონე გუნდი, როგორიცაა თბილისის „ლოკომოტივი“ და მალე თბილისის მეორე გუნდად იქცა.

1989-1990 წლებში ქართულ ფეხბურთში დიდი ძვრები მოხდა. საქართველოს საფეხბურთო ფედერაცია გამოეყო საკავშირო ფედერაციას და დამოუკიდებლობის გზას დაადგა. თავდაპირველად ამ ნაბიჯს ბევრი ოპონენტი გამოუჩნდა, მაგრამ საღმა აზრმა გაიმარჯვა და 1990 წელს პირველი ეროვნული ჩემპიონატი ჩატარდა. თბილისის „შევარდენი“, როგორც რესპუბლიკის ერთ-ერთი ძლიერი კლუბი, უმაღლეს ლიგაში მოხვდა. გუნდისგან ყველა ლამაზ და კარგ ფეხბურთს ელოდა. მაგრამ მოხდა პირიქით და „შევარდენი“ კინაღამ გამოეთხოვა უძლიერესთა ჯგუფს. მან 18 გუნდში მე-16 ადგილი დაიკავა.

ვერც მეორე ეროვნულ ჩემპიონატში გამოიჩინეს თავი თბილისელმა ფეხბურთელებმა. მართალია მე-16-დან მე-11 ადგილზე გადაინაცვლეს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს წარმატებად არ შეიძლება ჩაითვალოს.

კლუბის ახლოს გასაცნობად „შევარდენის“ შტაბს ვესტუმრეთ. ამჟამად ფეხბურთელები შვებულებაში არიან და ადგილზე მხოლოდ კლუბის პრეზიდენტი ზურაბ ქოტიაშვილი დაგხვდა.

— ბატონო ზურაბ, „შევარდენი“ ახალია ქართულ ფეხბურთში. რა მოვალეობას ასრულებს იგი კლუბში და არის თუ არა მსგავსება მსოფლიოს პროფესიული კლუბების პრეზიდენტებთან?

— საერთოდ პრეზიდენტი განაგებს კლუბს, მის კომერციულ და ორგანიზაციულ მხარეს. მაგრამ რადგან საქართველოში პროფესიონალიზმი მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს, ამიტომ შეზღუდულია პრეზიდენტის ის დიდი უფლებამოსილებაც, რაც მსოფლიოს საფეხბურთო კლუბების პრეზიდენტებს გააჩნიათ, მაგრამ წლების განმავლობაში ყველაფერი ნელ-ნელა დაიხვეწება და ჩვენც უმაღლეს სტანდარტებს მივაღწევთ.

— რა არის საჭირო იმისათვის, რომ საქართველოს კლუბებმაც მიაღწიონ ნამდვილ პროფესიულ დონეს?

— ქართულ ფეხბურთში გადაიდგა ისტორიული ნაბიჯი. ვატარებთ დამოუკიდებელ ჩემპიონატს, მაგრამ პროფესიონალიზმამდე ბევრი გვაკლია. სრულ პროფესიონალიზმს რომ მივაღწიოთ, ამისათვის მრავალი მტკივნეული საკითხია მოსაგვარებელი. უნდა ამაღლდეს ფეხბურთის „მომსახურე პერსონალის“ დონე: მწვრთნელების, მსაჯების, კომისრებისა და სხვათა კვალიფიკაციის ასამაღლებლად აუცილებელია მეტი კონტაქტები უცხოელ კოლეგებთან. გარდა ამისა, უნდა აშენდეს საფეხბურთო სკოლები, სადაც მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელები მომამზადებენ ქართული ფეხბურთის მომავალს. მეორე ეროვნულ ჩემპიონატში ამ მხრივ პროგრესი შეიმჩნეოდა.

კვლავ რჩება აქილევსის ქუსლად მაყურებელი. თავისი ობიექტურობით საქვეყნოდ ცნობილი ქართული გულშემატკივარი, რომელიც პატივს სცემდა როგორც საკუთარ, ასევე მოწინააღმდეგე გუნდებს, ახლა ისე აუტანლად, გამომწვევად ექცევა მეტოქის გუნდის ფეხბურთელებს, რომ მათ თამაშის ყოველნაირი ხალისი ერთმევათ.

ამ და სხვ. საჭირბოროტო საკითხების მოსაგვარებლად ზუგდიდის „ოდიშის“ ხელმძღვანელთა ინიციატივით შევიკრიბეთ უმაღლეს ჯგუფში მოსახვედრ კლუბების პრეზიდენტები, მაგრამ ერთი შეხვედრით საქმე არ გაკეთდება, საჭიროა ამ ტრადიციის გაგრძელება.

— რა ურთიერთობა გაქვთ სხვა კლუბებთან?

— ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს „იბერიასთან“, „გურიასთან“, რუსთავის „გორდასთან“, გორის „დილასთან“ და სხვებთან.

— ჩატარდა ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ჩემპიონატი. თუ შეიძლება, ორი სიტყვით მათ შესახებ.

— პირველი ეროვნული ჩემპიონატი უკვე მოძველებული სისტემით ჩატარდა, რომლითაც გუნდი ნახევარი საუკუნის განმავლობაში თამაშობდა საკავშირო პირველობაზე.

წლეულს ჩატარდა საგაზაფხულო გარდამავალი ჩემპიონატი, რომელმაც ეროვნული ჩემპიონატი ახალ რელსებზე უნდა გადაიყვანოს, საფუძველი უნდა ჩაეყაროს ახალი სისტემის პირველობას, დაახლოებით ისეთს, როგორიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებშია მიღებული.

— როგორ ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს ქართული ფეხბურთის საერთაშორისო აღიარებისთვის?

— ეს საკითხი უმაღლეს ოფიციალურ დონეზე უნდა გადაწყდეს. ამ საქმეს მხოლოდ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი — ბატონი ნოდარ ახალკაცი ვერ მოაგვარებს. აუცილებელია ჩვენი მთავრობის ჩარევა, მხარდაჭერა.

— მიუხედავად იზოლაციისა, თბილისის „იბერია“ მაინც ახერხებს რიგი საერთაშორისო ამხანაგური მატჩების ჩატარებას. თქვენ რას აკეთებთ საერთაშორისო კონტაქტების დასამყარებლად?

— თბილისს „იბერია“ უმდიდრესი ტრადიციების გუნდია, რომელიც მთელს ევროპაშია ცნობილი. რაც შეეხება ჩვენს მდგომარეობას, ამ მხრივ მეტად შეზღუდულნი ვართ მიუხედავად გაგზავნილი ტელექსისა და ფაქსისა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრის შესახებ, უარი მოგვდის. თუ რატომ, ეს ყველას კარგად მოეხსენება...

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია რომ გაწევრიანდეს ფიფა-ში, შეძლებენ ჩვენი გუნდები წარმატებით დაიკვან საქართველოს პრესტიჟი როგორც ეროვნული ნაკრებების, ასევე საკლუბო გუნდების ტურნირებზე?

— ქართველი კაცისათვის შეუძლებელი არაფერია, მთავარია მონდომება. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მთავარია საფეხბურთო სკოლების შექმნა, სადაც მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მოამზადებენ ახალ პაიჭაძეს, ახალ მესხს, მეტრეველს, ხურცილავას და სხვებსს, რომელთაც ასე საჭიროებს ქართული ფეხბურთი. ერთ მაგალითს მოვიყვან: „შევარდენის“ ყოფილი წევრები ვაჟა ყვანია (ამჟამად გუნდის უფროსი) და მერაბ ჟორდანია ჰოლანდიის კლუბში გამოდიოდნენ. კლასით თუ არ აღემატებოდნენ, არც არაფრით ჩამოუვარდებოდნენ იქაურ ფეხბურთელებს, ზოგ კომპონენტში კიდეც ჯობდნენ მათ.

— საუკეთესო ქართველი ფეხბურთელების გასვლა უცხოურ კლუბებში ხომ არ გააღარიბებს ეროვნულ ჩემპიონატს?

— ეს უდიდეს საქმეს ემსახურება, ამით რეკლამა უკეთდება ქართულ თვალსაზრისით. მაგალითად, ჩვენი ფეხბურთელით, მინაშვილით, დაინტერესდა ისეთი ტიტულოვანი და სახელმოხვეჭილი კლუბი, როგორიცაა კიევის „დინამო“. ამ დღეებში ველოდებით წარმომადგენლებს უკრაინიდან, თუ გარიგება შედგა ეს დიდ სამსახურს გაუწევს როგორც თვითონ „შევარდენს“, ასევე პირადად ფეხბურთელსაც, რომელიც გამოცდილებას შეიძენს, გაიგებს ფეხბურთის იმ საიდუმლოებებს, რითაც იგი ასე მიმზიდველი და უბრალოა მსოფლიოს გულშემატკივართათვის. ალბათ დადგება დრო, როდესაც ჩვენ კლუბებშიც ვიხილავთ საზღვარგარეთიდან მოწვეულ ოსტატებს.

ბიბა გაჩავა
დავით ჯელიძე

დღეს ნახევარფინალებია

თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარეობს შოთა იამანიძის სახელობის ტურნირი მინიფეხბურთში, რომლის ორგანიზატორი და სპონსორია საქველმოქმედო კომერციული ცენტრი „ცინა“. მოწვეული იყო ოცი გუნდი, მათ შორის რამდენიმე უცხოური, რომელთაგან შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება მხოლოდ პოლონეთის გუნდმა მოახერხა (მათ გაიფორშეს, რომ ოდესაში არიან, თავად კი ტურნირს მოაშურეს). მოსკოვში დროულად ჩასულმა ავსტრიელებმა კი თბილისის ბილეთები ერთი კვირის დაგვიანებით იშოვნეს. ვერ ჩამოვიდნენ ბულგარელები და იუგოსლავიელები. ტურნირში მონაწილეობს მოლდოვას გუნდი.

შეხვედრები მეტად დაძაბულად მიმდინარეობს, რაც, ალბათ, საპრიზო ფონდმაც განაპირობა (გამარჯვებულს 60000 მანეთი, მეორეს — 25000, მესამეს — 15000), სხვადასხვა პრიზები დააწესა ფირმა „უნივერსმაც“.

ძლიერია გუნდების შემადგენლობა. მაგალითად, რუსთავის „გორდა“ მთლიანად დიდი ფეხბურთის გუნდით არის წარმოდგენილი. რუსთაველთა მეორე გუნდში თამაშობს ეროვნული ნაკრების წევრი გია კილასონია, თბილისის „ცინაში“ ყოფილი „დინამოელები“ ნუკრი კაკილაშვილი და მერაბ ჟორდანია, სოხუმის „ინტერაგროში“ გოჩა გოგრიჭიანი და სხვა.

პროფესიონალთა გვერდით ტურნირში მონაწილეობდნენ თბილისელ და ქუთაისელ მედიკოსთა გუნდები. ქუთაისელები რვა უძლიერესში მოხვდნენ. ნახევარფინალში კი გავიდნენ თბილისის „ცინა“, მოლდოვა, „გორდა“ და „რუსთავი“.

დღეს ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან „ცინა“ — „გორდა“ და მოლდოვა — „რუსთავი“.

გულშემატკივრის ცნობარი

(გაგრძელება)

საქართველოში აკადემიური ნიჭიერებისნობა არასდროს ყოფილა პოპულარული, საბაიდარო ნიჭიერებისნობაში კი შეგვიძლია რეალური წარმატებები გავიხსენოთ. ყველაზე გამორჩეული შედეგია ფოთელი ნიჭიერებისნის ვიქტორ კრატასიუკის გამარჯვება მიუნხენის ოლიმპიადაზე 1972 წელს. კრატასიუკმა ბელორუსიის წარმომადგენელ ნიკოლოზ გორბაჩოვთან ერთად ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ორადგილიანი ბაიდარებით ასპარეზობაში.

რაგბი

რაგბის ისტორია რამდენიმე ლამაზ ლეგენდასთან არის დაკავშირებული. მათ შორის ერთი სხვებზე მეტად რომანტიკული და საინტერესოა. ამიტომ ყურადღებას სწორედ მასზე შევაჩერებთ.

...ბურბონების პირველმა რესტავრაციამ, როგორც ცნობილია, გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია ხალხის ფართო მასებსა და საფრანგეთის ბურჟუაზიის მნიშვნელოვან ნაწილში. ამგვარი ვითარებით კარგად ისარგებლა კუნძულ ელბაზე გადასახლებულმა ნაპოლეონმა. 1815 წლის 1 მარტს იგი ათასკაციანი რაზმით გადავიდა სამხრეთ საფრანგეთის სანაპიროზე და იქიდან პარიზისკენ დაიძრა.

ლუი XVIII-ის ჯარები უყოყმანოდ გადავიდნენ ყოფილი იმპერატორის მხარეზე. დაიწყო საზეიმო მარში დედაქალაქისაკენ, რომელიც დასრულდა 20 მარტს პარიზში ნაპოლეონის ტრიუმფალური შესვლით. ამ ამბავს მსოფლიოში ყველაზე გასაოცარი იმპერიის მეორე ცხოვრებას უწოდებენ, რომელიც ისტორიაში „ასი დღის“ სახელით არის ცნობილი. მაგრამ ასი დღე რეჟიმის არსებობისთვის, მოგეხსენებათ, მცირე დრო იყო. არადა, ნაპოლეონ ბონაპარტის ხელმეორე აღზევება ზუსტად ას დღეს გაგრძელდა და ევროპის სახელმწიფოთა მიერ შედგენილი VII ანტიფრანგული კოალიციის ჯარებთან ვატერლოოს ბრძოლაში სასტიკი დამარცხებით დამთავრდა. ამას მოჰყვა ნაპოლეონის ხელმეორე გადადგომა, და ბურბონების მეორე რესტავრაცია.

70-იანი წლების თბილისის „ლოკომოტივი“ ერთ-ერთი უძლიერესი იყო კავშირში. სურათზე წინა პლანზეა თემურ ბენდიაშვილი.

მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში არც ნაპოლეონის ცხოვრების ეს პერიოდი გვაინტერესებს და არც ბურბონების დინასტიის შემდგომი ბედი. ჩვენთვის მთავარია ნაპოლეონის საბოლოო განადგურების ზუსტი თარიღი (ბელგია, ვატერლოო, 1815 წლის 18 ივნისი), ვინაიდან რაგბის ისტორიასთან უფრო სწორედ მის დაფუძნებასთან სწორედ ის არის დაკავშირებული.

მაშ ასე, 1815 წლის 18 ივნისს კოალიციურმა ჯარებმა ჰერცოგ ველინგტონის ხელმძღვანელობით ვატერლოოსთან ნაპოლეონის არმია დაამარცხეს. მას შემდეგ ამ თარიღს ინგლისში საგანგებოდ აღნიშნავენ, როგორც დიდ ეროვნულ დღესასწაულს. 1823 წელს ველინგტონის გამარჯვების რვა წლისთავთან დაკავშირებით ქალაქ რაგბიში, რომელიც ლონდონიდან 300 მილით არის დაშორებული, ფეხბურთელთა გუნდების საჩვენებელი მატჩი მოეწყო. ეპოქის უდიდესი მოაზროვნე ლეონარდო და ვინჩი, ცნობილი მწერალი-პოლიტიკოსი ნიკოლო მაკიაველი, სხვანი და სხვანი. ისტორიკოსები თანამედროვე რაგბის უპირველეს წინაპრად სწორედ ფლორენციულ ფეხბურთს მიიჩნევენ. სხვათა შორის, ფლორენციულ ფეხბურთს წესისამებრ ოცი კაცი თამაშობდა, იმდენი, რამდენიც რაგბის მისი ჩასახვის პირველ პერიოდში.

რაგბის უფრო შორეული წინაპრები ჰყავდა ძველ რომში, ჩინეთში. ამის შესახებ უტყუარ ცნობებს გვაწვდიან იმდროინდელი ქრონიკები. მაგრამ ეს თექვსმეტი წლის ინგლისელი ყმაწვილის დამსახურებას ოდნავადაც ვერ ბღალავს. ამის დასტური გახლავთ ქალაქ რაგბიში აღმართული ქანდაკება, რომელიც სამანსოვრო მატჩის ეპიზოდს ასახავს.

რა მოხდა მერე?

1862 წელს შემუშავდა რაგბის პირველი წესები. ცხრა წლის შემდეგ კი შეიქმნა პირველი მსხვილი ორგანიზაცია — „რაგბი-ფეხბურთის“ კავშირი. ამ სახელწოდებამ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. ეს არ იყო რაგბისა და ფეხბურთის ალიანსი. უბრალოდ, გასული საუკუნის 60-იან წლებში ახალ თამაშს „რაგბი-ფეხბურთს“ უწოდებდნენ, თავად ფეხბურთს კი „ფეხბურთი-ასოციაცია“ ერქვა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რუბრიკას უძღვება ნოდარ გუგუშვილი



ევროპული მეჯლისი „ოქროს ტბაზე“

ჩემპიონატი ახლოვდება ფოთი ემზადება

ფოთი წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატის მოლოდინშია. ბევრი აღარაფერი რჩება 14 აგვისტომდე. სწორედ ამ დღეს გაიმართება ჩემპიონატის საზეიმო გახსნის ცერემონიალი. მალთაყვის „ოქროს ტბის“ ნაპირი სამშენებლო პოლიგონად ქცეულა, ჩქარობენ მშენებლები. საქმე ჯერ კიდევ ბევრია, მაგრამ ეჭვი ნელ-ნელა იფანტება — მოესწრება! ყოველ შემთხვევაში, მასპინძლებმა იმედიანად გამოგვისტუმრეს: ჩემპიონატის სტარტისათვის ყველაფერი მზად იქნებაო. ღმერთმა ქნას!

საქართველოს წყალსათხილამურო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარე რომან მელია ფოთის საკრებულოს მდივნის თამაზ პაჭკორიას კაბინეტში დაგეხვდა. რა თქმა უნდა, მომავალ ჩემპიონატზე საუბრობდნენ. რომან მელია საქმიანი კაცია, სწორედ მისი ინიციატივით „შემოვიდა“ ფოთში წყალსათხილამურო სპორტი, მისივე მცდელობით დაიწყო აქ დიდი კომპლექსის მშენებლობა, საბოლოოდ კი საქმე იქამდე მივიდა, რომ ფოთი ევროპის ჩემპიონატის მასპინძლად აირჩიეს.



აუზი მზადაა. ალბათ, წყალსაც ჩასხამენ...

— როცა ევროპის წყალსათხილამურო სპორტის ფედერაციამ ფოთის კანდიდატურა დაამტკიცა, ამას ჩვენში ყველანი მოწონებით შეხვდნენ, — ამბობს ბატონი რომანი, — თუმცა თავიდან ვერ მოხერხდა მოსამზადებელი სამუშაოების ფართო ტემპით გაშლა. ცხადია, იყო ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, პირველ ყოვლისა, პოლიტიკურ ვითარებას ეგულისხმობ. ამას დაერთო სტიქიური უბედურებები, აგრეთვე ზოგიერთი თანამდებობის პირის ორჭოფული დამოკიდებულება ჩემპიონატისადმი. ერთი სიტყვით, ვიდრე საქმეში ახალი ხელისუფლება არ ჩაერია, ეჭვქვეშ იდგა ფოთში ჩემპიონატის გამართვის საკითხი. ამასობაში საკმაო დრო გავიდა და კინაღამ „ცაიტნოტში“ აღმოჩნდით. საორგანიზაციო კომიტეტს, როგორც იცით, სათავეში ჩაუდგა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ბატონი თენგიზ სიგუა. ფოთში და თბილისში გაიმართა რამდენიმე ოპერატიული თათბირი, ამ საქმეში ჩაება რესპუბლიკის თითქმის ყველა სამინისტრო და სამშენებლო ორგანიზაცია, მოწერხდა მთელი ამ საშუშაოების კოორდინაცია, გააქტიურდა ქალაქის პრეფექტურა. ასე რომ, იმედია საერთო ძალისხმევა კეთილად დასრულდება და ჩვენი ქალაქი ღირსეულად უმასპინძლებს ამ პრესტიჟულ შეჯიბრებას.

— რამდენი ქვეყნის სპორტსმენს ელოდებით?

— თოთხმეტმა ქვეყანამ უკვე გამოგვიგზავნა დასტური მონაწილეობაზე. ესენია: საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი, გერმანია, ინგლისი, შვეიცარია, შვეცია, დანია, ჰოლანდია, ნორვეგია, ჩეხოსლოვაკეთი, ბულგარეთი, ესპანეთი, პორტუგალია. ცხადია, ფოთში გამოვა საბჭოთა კავშირის ნაკრებიც. ამას გარდა, გამორიცხული არ არის, კიდევ ოთხი-ხუთი ქვეყნის წარმომადგენელთა ჩამოსვლა (ცნობისათვის: ევროპის წინა ჩემპიონატში ჩვიდმეტი ქვეყანა მონაწილეობდა).

— საქართველოს ნაკრები? რა სტატუსით გამოვა ჩვენი გუნდი?

— ეს საკითხი ბოლომდე გარკვეული არ არის. მოგვიანებით გადაწყდება, საქართველოს ნაკრები დამოუკიდებელი გუნდის სტატუსით იასპარეზებს თუ კონკურსგარეშე. ყველა შემთხვევაში, ჩვენ ცალკე გუნდს გამოვიყვანთ. ეს გადაწყვეტილია.

— რა ურთიერთობა გაქვთ წყალსათხილამურო სპორტის საკავშირო ფედერაციასთან?

— გამოყოფის თაობაზე საუბარი ჯერ არ გვქონია. ჩემპიონატის დამთავრებას ველოდებით.

— მერე ალბათ საერთაშორისო ფედერაციაში განევრიანებისთვის ზრუნვაც მოგიწევთ.

— ცხადია, საბოლოო მიზანი ეს არის, მაგრამ ამ ეტაპზე ოპტიმიზმის საფუძველი არა გვაქვს. ყველაფერი პოლიტიკურ ვითარებაზე და საკავშირო ფედერაციის პოზიციაზე იქნება დამოკიდებული. რაც შეეხება ევროპის მეორე ჯგუფის ფედერაციის პრეზიდენტს ობრი შინას, მასთან საკმაოდ ახლო კონტაქტები გვაქვს და დახმარებას გეპირდება. ეგ არის, მოსკოვთან ურთიერთობის გამწვავებას ერიდებიან. ბატონი იბრი, ცხადია, აუცილებლად ჩამოვა ფოთში და მოლაპარაკებაც შედგება.

— აგვიხსენით, რას ნიშნავს მეორე ჯგუფის ფედერაცია?

— წყალსათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია სამ ჯგუფად იყოფა. მეორე ჯგუფის ფედერაცია ევროპის, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს აერთიანებს. პერსპექტივაში ჩვენ ამ ჯგუფში უნდა გავწევრიანდეთ. სხვათა შორის, ამ ფედერაციის ხელმძღვანელობა თელის, რომ ფოთში, წყალსათხილამურო სპორტის განვითარებისათვის ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი პირობებია. მათი დახმარებით, აგრეთვე ამერიკული ფირმა „სუპრას“ მონაწილეობით წყდება ფოთის ჩემპიონატთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები. ამერიკიდან გამოგზავნილი ტვირთის ერთი ნაწილი უკვე მივიღეთ, ამ დღეებში ველოდებით ტრამპლინს, ორ ამერიკულ კატარღას. ყველა ეს აღჭურვილობა ფოთში დარჩება და ჩვენს სპორტსმენებს მოემსახურება.

— რა ჯდება ჩემპიონატის გამართვა?

— წყალთხილამურები, შეიძლება ითქვას, ელიტარული სპორტია და მისი ტექნიკური უზრუნველყოფა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ფოთის ჩემპიონატისათვის ოც მილიონ მანეთზე მეტია გამოყოფილი. თუ რიგიანად გავირჯებით, ამ თანხის ამოგება რამდენიმე წელიწადში მოხერხდება. ფოთი წყალსათხილამურო სპორტის თანამედროვე ცენტრად უნდა ვაქციოთ, უნდა მოვიზიდოთ უცხოელებიც. აქ ჩემი და ფოთის პრეფექტის, ბატონ თენგიზ ბარამძის აზრი ერთმანეთს ემთხვევა. სერიოზული გეგმები გვაქვს და ამაზე ხსვა დროს უფრო ვრცლად გესაუბრებით.

თენგიზ ბარამიძე. ფოთის პრეფექტი: ჩვენი ქალაქისთვის დიდი პატივია ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა. მართალია, დღეს რესპუბლიკას უჭირს, მაგრამ იმედია, მაინც შევძლებთ ღირსეულად გავართვათ თავი ამ დიდ საქმეს. მთელი საქართველო გვერდში გვიდგას. მშენებლებიც დღე და ღამეს ასწორებენ, მათ უნარიანად ხელმძღვანელობს გამოცდილი სპეციალისტი ნოდარ ამაშუკელი, საქართველოს მშენებლობის მინისტრის მოადგილის თამაზ ვაშაძის დახმარებით ოპერატიულად წყდება ყველა პრობლემა. ეს გვაიმედებს, რომ ჩემპიონატისათვის ყველაფერი რიგზე იქნება.

მალთაყვის ტყე-პარკის ტერიტორია „ოქროს ტბასთან“ უზარმაზარ სამშენებლო პოლიგონს ჰგავს. არხის ორივე ნაპირზე კარგა მოზრდილი ფართობი უკავია სხვადასხვა ობიექტებს, ავალიშვილი. სხვათა შორის, ბატონი სოსო და მისი კოლეგები თითქმის ორი თვეა საწარმოშიც მუშაობენ და აქაც, მალთაყვაში.

„აიაზე“, ფოთის წყალსათხილამურო კლუბზე, უკვე ბევრჯერ დაიწერა. შეიძლება ითქვას, კომპლექსის ისტორია სწორედ ამ კლუბის ორსართულიანი შენობიდან დაიწყო ჯერ კიდევ ექვსი წლის წინათ. კლუბის გვერდით, ნაპირის გასწვრივ 1500-ადგილიანი ტრიბუნა გადაჭიმულა. აქედან მშვენივრად ჩანს



სოფლის შენობას რა უნდა?

არხის პანორამა, სადაც ჩემპიონატის დღეებში წყალმოთხილამურეთა შეჯიბრება უნდა ჩატარდეს. ეს კი ძალზე მოსახერხებელია მაყურებელთა და ტელეკომენტატორებისათვის, რომელთა კაბინები ტრიბუნის თავზეა განლაგებული. ტრიბუნის ქვეშ კი მოთავსდება კაფე-ბარი, სამედიცინო კაბინეტები, სხვა აუცილებელი სამსახურები.

ტრიბუნის უკან, ოდნავ მოშორებით აიგო სპორტდარბაზი სტანდარტული ზომის კალათბურთის მოედნითა და ყველა დამხმარე სათავსოთი. 25-მეტრიანი ხუთბილიკიანი დახურული საცურაო აუზია. ლამაზი ინტერიერი მყუდროებას ქმნის. სტუმრებს მოემსახურება კაფე-ბარი, საბილიარდო, ორი საუნა, ტრენაჟორის დარბაზი, საშხაპეები, გასახდელი. უკვე



ეს ხიდი დაგვაკავშირებს ევროპასთან?

რომელთაგან თითოეული კომპლექსის შემადგენელი ნაწილია. ეს ყველაფერი ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა განკარგულებაში იქნება. ცდუნებას ვერ გაუძელით და ფეხით შემოვიარეთ ტერიტორია. მეგზურობაზე თავაზიანად დაგვთანხმდა ფოთის ჩაის ფაბრიკის მთავარი მექანიკოსი სოსო ავალიშვილი. ის ბევრ ადგილზე ასრულებს ინჟინერ-ტექნიკოსის ფუნქციებს. ბატონ სოსოს ბევრი ადგილი ეცალა, ბევრ ადგილზე ასრულებდა

„პინგვინები“ უკანა და...

ჩრდილოეთ ამერიკაში 1990-91 წლების ჰოკეის მარათონმა დაასახელა მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული პრიზის — სტენლის თასის ახალი მფლობელი. ნჰლ-ის ისტორიაში ეს ჯილდო პირველად მოიპოვა „პიტსბურგ პინგვინსმა“. ეს გუნდი მეთოთხმეტე მფლობელია საპატიო პრიზისა; რომელიც 1892 წელს დაუწესებია კანადის გენერალ-გუბერნატორს ლორდ ფრედერიკ არტურ სტენლის და რომელიც დღესაც თავისი დამაარსებლის სახელს ატარებს.

გარდა ამისა, „პიტსბურგ პინგვინსი“ გახლავთ ის კლუბი, რომელმაც „დაიკავა“ ერთადერთი დარჩენილი ადგილი ამ 12,2-კილოგრამიან ვერცხლის თასზე იქ, სადაც ჩემპიონთა სახელები ამოიკვეთება. ასე რომ, ნჰლ-ის ხელმძღვანელობა უკვე ფიქრობს, როგორ მოიქცეს — პრიზს კიდევ ერთი, დამატებითი რგოლი მიარჩილოს თუ ახალი თასი დააწესოს.

ეს ყველაფერი, რასაკვირველია, იცოდნენ განვლილი გათამაშების მონაწილეებმა და თითოეული მათგანი ოცნებობდა, რომ ძვირფას თასზე მისი სახელი დარჩენილიყო. ამან ინტერესი შემატა ისედაც დაძაბულ ასპარეზობას. მთელმა ტურნირმა მძაფრ ბრძოლაში ჩაიარა. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა მისი სათასო სერია. „პიტსბურგ პინგვინსმა“ სწორედ დასკვნითი ეტაპი ჩაატარა ყველაზე დიდი აღმავლობით. მეტოქეთაგან განსხვავებით, ამ გუნდმა შეძლო ძალების შენარჩუნება რეგულარული ჩემპიონატის შემდეგ. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მომავალ ჩემპიონებს ყველაზე მეტად მერვედფინალში გაუჭირდათ, სადაც მათი მეტოქე „ნიუ-ჯერსი დევილსი“ იყო. „პიტსბურგმა“ მხოლოდ შინ გამართულ მეშვიდე მატჩში შეძლო საერთო გამარჯვების მოპოვება — 4:3 (1:3, 5:4, 4:3, 1:4, 2:4, 4:3, 4:0). მეოთხედფინალში „პინგვინებმა“ იოლად დაამარცხეს „ვაშინგტონ კეპიტალსი“ — 4:1 (2:4, 4:6, 3:2, 3:1, 4:1), ნახევარფინალში კი დამამჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს „ბოსტონ ბრიუინსთან“, გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტთან — 4:2. ამასთან, პიტსბურგის გუნდმა ორი პირველი შეხვედრის წაგების შემდეგ ზედიზედ ოთხი მატჩი მოიგო (3:6, 4:5, 4:1, 4:1, 7:2, 5:3).

ფინალში „პიტსბურგი“ “მინესოტა ნორდ სტარსს“ ხვდებოდა. ეს გუნდი მთელი სეზონის მანძილზე სტაბილურად თამაშობდა, მაგრამ გადამწყვეტ ფაზაში დაღლილობა დაეტყო. სერიის მანძილზე „ნორდ სტარსი“ ორჯერ დაწინაურდა — 1:0 და 2:1, მაგრამ სამი დასკვნითი შეხვედრა „პიტსბურგმა“ მოიგო და საბოლოოდ ის გავიდა წინ — 4:2 (4:5, 4:1, 1:3, 5:3, 6:4, 8:0). ბოლო მატჩი „პინგვინებმა“ მართლაც დიდებული სტილით ჩაატარეს და მეტოქე სტენლის თასის გათამაშების ფინალური შეხვედრების ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით დაამარცხეს.

პენსილვანიის გუნდის წარმატება



პოლ კოფი

შემთხვევითი არ არის. მოთამაშეთა შემადგენლობის მხრივ ეს ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია ნჰლ-ში. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის კრეგ პატრიკს, რომელიც 1989 წლის დეკემბრიდან მუშაობს კლუბის გენერალურ მენეჯერად (1980 წლის ოლიმპიადის დროს პატრიკი აშშ-ის ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე იყო. მაშინ ამ გუნდმა დაამარცხა სსრ კავშირის ნაკრები ანგარიშით 4:3 და თამაშების ჩემპიონის ტიტული მოიპოვა). შარშან მან „პიტსბურგში“ მწვრთნელად მიიწვია გამოცდილი სპეციალისტი ბობ ჯონსონი, რომელიც მანამდე ოთხი სეზონი „კალგარი ფლეიმსთან“ მუშაობდა.

გუნდი ჯონსონის მისვლის შემდეგ მთელი ძალით ათამაშდა, მოწინავე პოზიციები კი დაიკავეს 23 წლის მარკ რეჩიმ და 26 წლის კევინ სტივენსმა. დღეს ორივე სეზონის ყველაზე შედეგიან მოთამაშეთა რიცხვში არიან. „ჯადოქარ“ მარიო ლემიუსთან ერთად დღეს ისინი შეადგენენ „პინგვინების“ მთავარ „დამრტყმელ ძალას“. თანაც, ყველამ მშვენივრად იცის, რომ, თუ მარიო სასურველ ფორმაშია, მარტო მასაც კი შეუძლია ნებისმიერი გუნდის დამარცხება. დღეს მარიო ლემიუ მსოფლიოში ერთადერთი ჰოკეისტია, ვისაც ძალუძს კონკურენცია გაუწიოს თვით უეინ გრეცკის. სათასო სერიაში ლემიუმ ყველაზე მეტი — 44 ქულა დააგროვა. უკეთესი მაჩვენებელი მხოლოდ გრეცკის აქვს — 47 ქულა გასულ სეზონში. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ზურგის ძლიერი ტკივილის გამო ლემიუმ „ფლეი-ოფის“ ორი მატჩი გამოტოვა, მაგრამ მისთვის ბევრად მნიშვნელოვანია მეორე მხარე. როცა ჰოკეის ამ ორ გამოჩენილ ოსტატზე ლაპარაკობდნენ, სპეციალისტები გესლიანად შენიშნავდნენ, რომ მარიოს არა აქვს ის, რაც აქვს უეინს — ბრილიანტის ბეჭედი სტენლის თასის გათამაშებაში გამარჯვებისათვის. ახლა მან ეს საპატიო პრიზიც მოიპოვა და ყველას დაუმტკიცა, რომ სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ მსოფლიო ჰოკეის ისტორიაში.

მარიო ლემიუ „სტენლის თასით“

მცველს, პოლ კოფის, ბრილიანტის ბეჭედი უკვე მესამედ ხვდა. მან სტენლის თასი ორჯერ მოიგო „ედმონტონ ოილერსში“, საიდანაც 1988 წელს „პიტსბურგში“ გადავიდა. წლევანდელ სეზონში პოლს ხუმრობით „რუსული შეთქმულების მსხვერპლი“ უწოდეს. თუმცა ამ ხუმრობაში, კაცმა რომ თქვას, სიმართლეც ბევრი ერია. თავად განსაჯეთ — ჯერ იყო და ვიაჩესლავ ფეტისოვმა ყვანჯით კინაღამ თვალი გამოსთხარა, მერე დიმიტრი ხრისტიჩმა ისე სტყორცნა შაიბა, რომ ყბა ჩაუმსხვრია. ეს მეორე ტრავმა ბევრად უფრო სერიოზული აღმოჩნდა. პოლს ოპერაცია დასჭირდა და ექიმებმა მას სეზონის ბოლომდე აუკრძალეს თამაში. მაგრამ პოლმა პირობა დადო, რომ, თუ მისი გუნდი ფინალში ითამაშებდა, ისიც უთუოდ გამოვიდოდა ყინულზე. თქვა და შეასრულა კიდეც: მოუდანზე დამცველი ნიღბით გამოვიდა და გამარჯვებისთვის თავი არ დაუზოგავს.

„პინგვინების“ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს 34 წლის ბრაიან ტროტიემ, რომელმაც ადრე „ნიუ-იორკ აილენდერსის“ შემადგენლობაში ოთხჯერ მოიგო სტენლის თასი, და 33 წლის ბრაიან მოლენმა, რომელსაც მთავარი პრიზი ერთხელ უკვე ჰქონდა მიღებული „კალგარი ფლეიმსში“. ორივე ეს ჰოკეისტი წლეულს პირველად გამოდიოდა „პიტსბურგში“. თასის გათამაშების გადამწყვეტ მატჩებში შესანიშნავად ითამაშეს 28 წლის თავდამსხმელმა რონ ფრენსისმა და 27 წლის შვედმა მცველმა ულფ სამუელსენმა, რომლებიც გუნდმა შუა სეზონში იყიდა. გუნდის სხვა წევრებს მშვენივრად აუბა მხარი 19 წლის ახალწვეულმა იაროსლავ იაგერმა (ჩეხოსლოვაკეთი), რომელსაც სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ნჰლ-ში თავისი საუკეთესო სეზონი ჩაატარა „პინგვინების“ მეკარემ ტომ ბარასომ. იგი უნაკლოდ თამაშობდა სათასო სერიის მატჩებში.

ჩრდილოამერიკული ლიგის ჰოკეის ექსპერტთა აზრით „პიტსბურგ პინგვინსმა“ მართლაც ღირსეულად მოიგო სტენლის თასი და თამამად შეუძლია უახლოეს წლებში კიდევ ჰქონდეს ამგვარი წარმატების იმედი.

სოსო დათიკაშვილი

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

დამფუძნებელნი: საქართველოს რესპუბლიკაში — სამეცნიერო-საწარმოო კონცერნი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია; რუსეთში — აორმი — ქ. მოსკოვის ცენტრის რეკონსტრუქციისა და რესტავრაციის სააქციონერო საზოგადოება, კოოპერატივი „მემკვიდრეობა“ (ისტორიული ძეგლების რეკონსტრუქცია და რესტავრაცია); „მოსმშენეკონომბანკი“ — (წლიური ბრუნვა 10 მილიარდ მანეთამდე).

შეიქმნა 1991 წ. მაისში

საწესდებო კაპიტალი — 7 000 000 მან.

ბანკ „საქართველოს“ წლიური ბრუნვა 140 000 000 მან.

პარტნიორ-მეპაიეები ჰყავთ მოსკოვში, ციმბირში, პრაჰაში, პარიზში. ხუთი წარმომადგენლობა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში: ბათუმში, ფოთში, სოხუმში, ჭუთაისში, თელავში.

ᲑᲐᲜᲙᲘ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲡ:

— კრედიტები შეღავათიან პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესისათვის;

— კლიენტების საკასო-საანგარიშსწორებო მომსახურება და ფაქტორინგული ოპერაციები;

— საწარმოთა, დამოუკიდებელ ასოციაციების, კოოპერატივების თავისუფალი ფულადი სახსრების მოზიდვა.

— მეპაიეთა და აქციონერთა ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციები: გაყიდვა, დაბრუნება, შემოსავლის გადახდა.

ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲘᲞᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘ

ᲑᲐᲜᲙᲘ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲡ ᲜᲓᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲠᲔᲞᲣᲢᲐᲪᲘᲐᲡ.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: 380012, ქ. თბილისი, შოთა იმანიძის 5. ტელ: 35-29-94.

ᲢᲔᲚᲔᲤᲐᲥᲡᲘ: 18/8832-23-57-60

ᲢᲔᲚᲔᲥᲡᲘ: 212183 Unter SU

კომერციული ბანკი „საქართველო“
სარეკლამო სააგენტო „ᲛᲘ-ᲛᲘ-ᲜᲝ“

ტექნიკური შედეგები

ველოსპორტი

„ტურ დე ფრანსი“. მერვე ეტაპი. არუანტანი — ალანსონი (73 კმ). ინდივიდუალური სტარტი. 1. მიგელ ინგურანი (ესპანეთი) — 1:55.44. მეცხრე ეტაპი. ალანსონი — რენი (161 კმ). 1. მაურო რიბეირო (ბრაზილია) — 3:40.51; 2. ლორან ფალაბერი (საფრანგეთი); 3. დიმიტრი კანშეევი (სსრკ) — იგივე დრო.

ფრენბურთი

„მსოფლიო ლიგა“. ვაუები. „ა“ ჯგუფი. ჰოლანდია — კუბა — 1:3 და 3:1; ბრაზილია — კანადა — 3:1 და 3:1. 1. კუბა — 13 მოგება 14 მატჩში; 2. ჰოლანდია — 11; 3. ბრაზილია — 7; 4. საფრანგეთი — 3; 5. კანადა — 2. „ბ“ ჯგუფი. იაპონია — იტალია — 2:3 და 0:3. სამხრეთ კორეა — აშშ — 3:0 და 1:3. 1. იტალია — 12 მოგება 14 მატჩში; 2. სსრკ — 10; 3-4. აშშ და იაპონია — 5-5; 5. სამხრეთ კორეა — 4. ბოლო ტურის შედეგების მიუხედავად ნახევარფინალებში შეხვდებიან: კუბა — სსრკ და იტალია — ჰოლანდია (24 ივლისი); 26 ივლისს მილანში ჩატარდება ფინალი და მატჩი მესამე ადგილისათვის.

მძლეოსნობა

საერთაშორისო ტურნირი. ლეპენრანტა (ფინეთი). ვაუები. 110 მ თარჯრბენი — გ. ფოსტერი (აშშ) — 13,11 (სეზონის საუკეთესო დრო). 200 მ. დ. გიკონიო (კენია) — 20,58; 800 მ — ბ. კინერი (კენია) — 1.45,33; 3000 მ. — ფ. ო მარა (ირლანდია) — 7.47,04; შუბი — კ. კანუნენი (ფინეთი) — 82.96; ურო — ი. ტამი (სსრკ) — 78.54. ქალები. 3000 მ — დ. ნგოტო (კენია) — 8.51,30; 400 მ თარჯრბენი — დ. ვიკერსი (აშშ) — 58,39; სიგრძე — ჯ. ჯოინერ-კირსი (აშშ) — 7.13; შუბი — ბ. ალაფერანტი (ფინეთი) — 61.78.

„გრან-პრი“-ს ტურნირი. ლოზანა (შვეიცარია). ქალები. 100 მ — 1. შერლინ ოტი (იამაიკა) — 10,84 (სეზონის საუკეთესო დრო); 2. გ. ტორენსი — 10,96; 3. კ. გუიდრი (ორივე — აშშ) — 11.10; 400 მ. — ფ. იუსუფი (ნიგერია) — 50, 41 (აფრიკის რეკორდი); 800 მ — ა. კიროტი (კუბა) — 1.58,56; 100 მ. თარჯრბენი — მ. ევანგ-ეპე (საფრანგეთი) — 12,73; 1500 მ. — ნ. არტემოვა (სსრკ) — 4.00,75 (ტურნირის რეკორდი); სიმაღლე — ჰ. ჰენკელი (გერმანია) — 2.00; ბადრო — ჩეიხუნი (ჩინეთი) — 20.20. 400 მ თარჯრბენი — ს. ფარმერ-ბატრიკი (აშშ) — 53,61 (სეზონის საუკეთესო დრო); ვაჟები. 100 მ — ლ. ბარელი (აშშ) 9,96; 200 მ. რეჯისი (დიდბრიტანეთი) — 20,12; 400 მ მ. ჯონსონი (აშშ) — 44,17; 800 მ — ჟ. ბარბისა (ბრაზილია) — 1.45,95; 1500 მ — მ. სულეიმანი (კატარი) — 3.37,53; 5000 მ —ი. ისანგარი (მაროკო) — 13.23.46; 3000 მ წინაღობებით — ბ. სანგი (კენია) — 8.14,92; 400 მ თარჯრბენი — ჯ. ჰარისი (აშშ) — 47,38; სიგრძე — ი. მ. ბაუელი (აშშ) — 8.44; 2. ლ. სტარკი (აშშ) — 8.35; 3. ლ. მირეკი (აშშ) — 8.20; ჭოკი — ბ. ჰეინი (აშშ) — 5.80; ბადრო — ვ. გიუნტერი (შვეიცარია) — 21.35; შუბი — ი. ჟელეზნი (ჩეხეთსლოვაკეთი) — 90.72.

საერთაშორისო ტურნირი. როვერეტო (იტალია). ვაუები. სიმაღლე. 1. ტ. კემპი (ბაგამის კუნძულები) — 2.35; 2. ჰ. კონვეი (აშშ) — 2.32; სამხტომი — ჯ. ედვარდსი (დიდი ბრიტანეთი) — 17.11. ქალები. 100 მ. — ე. ეშფორდი (აშშ) — 11,20.

ფეხბურთი

ევროპის ჩემპიონატი. დანია. ქალები. ფინალი. გერმანია — ნორვეგია — 3:1 დამატებით დროში (0:0, 1:1).

სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი. „ა“ ჯგუფი: 12 ივლისი. არგენტინა — პარაგვაი 4:1; პერუ — ვენესუელა 5:1. 14 ივლისი. არგენტინა — პერუ 3:2, ჩილე — პარაგვაი 4:0. „ბ“ ჯგუფი: 11 ივლისი. ბრაზილია — ურუგვაი 1:1, კოლუმბია — ბოლივია 0:0. 13 ივლისი. ბრაზილია — კოლუმბია 0:2, ეკვადორი — ბოლივია 4:0. 15 ივლისი. ურუგვაი — კოლუმბია 1:0, ბრაზილია — ეკვადორი 3:1.

კავკასიის ბირჟა

ვაჭრობის ზღურბლზე..

მიმდინარეობს განცხადების მიღება ვაჭრობაში მონაწილეობისათვის. ვაჭრობაში მონაწილეობენ აუქციონერები რუსეთიდან, ყაზახეთიდან, უკრაინიდან, ბალტიისპირეთიდან; „კავკასიის ბირჟის“ უცხოელი პარტნიორები.

ვაჭრობაზე შეიძლება სახალხო მოხმარების საქონლის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, სამშენებლო მასალების, ელექტრომოწყობილობების, სათბობის, სატრანსპორტო საშუალებების წარმოდგენა.

ვაჭრობაში მონაწილეობა შეიძლება მხოლოდ „კავკასიის ბირჟის“ საბროკერო ფირმების მეშვეობით.

საწარმოებმა, ორგანიზაციებმა, კოოპერატივებმა და ასოციაციებმა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან პროდუქციის თავისუფალ ფასებში რეალიზაციით ან შეძენით, ბროკერებთან დასაკავშირებლად უნდა მიმართონ საინფორმაციო ცენტრს.

ტელეფონი 38-46-90.
მისამართი: ვაჟა-ფშაველას 72.

კავკასიის ბირჟა

საინფორმაციო ცენტრი „კავკასიის ბირჟა“
სარეკლამო სააგენტო „ მი-მი-ნო“

ბრალი ედებათ გარიგებით დამარცხებაში

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

მსოფლიო ჩემპიონატის მორიგმა, VIII ეტაპმა — დიდი ბრიტანეთის „გრან პრიმ“, ბრაზილიელი აინტონ სენას საბოლოო გამარჯვებაში თითქოს უკვე ურყევი რწმენა ეჭქვეშ დააყენა.

სენა თავისი მაკლარენით, სულ ცოტა ხნის წინ, იოლად იმარჯვებდა თითქმის ყველა საკვალიფიკაციო რბოლაში. ახლა კი, ბოლო ეტაპზე, იგი ასევე იოლად თმობს მისთვის უკვე ჩვეულად ქცეულ პირველ სასტარტო ადგილს. ასე იყო „სილვერსტოუნზეც“, სადაც სენამ ვერაფერი დუპირისპირა შეუპოვარ ბრიტანელ ნაიჯელ მენსელს და მის „უილიამსს“.

სტარტზე სენამ იმარჯვა. მენსელის მანქანას, თუმცა თვით პილოტი შეეცადა ამაზე ლაპარაკისთვის თავი აერიდებინა, ეტყობა რაღაც მოუვიდა. სპეციალისტთა აზრით, სხვანაირად შეუძლებელია ასეთი ჩინებული სტარტიორი ისე შეყოვნებულიყო, რომ სენამ იგი მხედველობის არეალსაც კი დაკარგა. მხოლოდ მთელი დისტანციის მესამედის გავლის შემდეგ გაქტიურდა მენსელი, თითქოს უხეირო სტარტის მერე გონს მოეგო და ლიდერისგან ჩამორჩენს ყოველ ახალ წრეზე ერთი წამით ამცირებდა. საბოლოოდ, ბუნებრივია, მენსელი დაეწია სენას და გაუსწრო კიდეც მას.

მოპოვებული პოზიციის განმტკიცება კი ტექნიკის საქმე იყო. 36-ე წრის შემდეგ, 25 წამიანი უპირატესობით მარაგში, მენსელმა ბოქსში შეუხვია, სადაც მის „უილიამსს“ 8,37 წამში საბურავები გამოუცვალეს. ფინიშამდე ათი წამით ადრე ბრიტანელი პილოტი სენას 20 წამით უსწრებდა. და მაინც, თავისი მე-18 გამარჯვება მსოფლიო ჩემპიონატების ეტაპებზე მენსელს იოლად რიდი ხვდა. „ფინიში ნერვიული გამოდგა. — თქვა მენსელმა — ხალხი მხურვალედ მიჭერდა მხარს, მაგრამ მე ვცდილობდი ამისთვის ყურადღება არ მიმექცია, რათა მთელი ყურადღება ტრასაზე მქონოდა კონცენტრირებული. ბოლო 10 წრის გავლისას მაქსიმალური სიჩქარის განვითარებას ვეღარ ვახერხებდი, კვლავ რაღაც დაეძარცა სიჩქარეების ნახევრადავტომატურ კოლოფს. ბოლო ორი წრე კი მთლიანად მეხუთე სიჩქარით ვავიარე. ვშიშობდი, სიჩქარის გადართვით კოლოფი მთლიანად არ გამოსულიყო მწყობრიდან. დისტანცია ცოტა უფრო ვრცელი რომ ყოფილიყო, არავინ იცის რა მოხდებოდა“.

სენასაც ხიურპრიზი ელოდა. როცა მენსელმა ფინიშის ხაზი გადაკვეთა, დიდი ბრიტანეთის დროშების მოფრიალე 150000-იანი მასა ხმის ჩახლეჩამდე გაკიოდა „მენსელ! მენსელ!“ — ამასობაში კი ბრაზილიელის „მაკლარენი“ უეცრად გაჩერდა ბოლო ვირაჟზე, ზედ ფინიშის სწორზე.

„მე მინდოდა დისტანცია საბურავების გამოუცვლელად გამევლო, მაგრამ ეს არ გამოშვიდა. ბოლო წრეზე კი ძრავა საერთოდ ჩაქრა, — შესჩიოდა მსოფლიო ჩემპიონი ჟურნალისტებს. — ეს არ იყო ელექტრიგაყვანილობის ბრალი, რადგან საზომი ხელსაწყოები მუშაობდნენ და როგორც უწვენებდნენ, არც ბენზინი უნდა ყოფილიყო გამოლეული, მაგრამ სწორედ უბენზინობა აღმოჩნდა გაჩერების მიზეზი“.

საინტერესოა, რომ ამასთან დაკავშირებით, ბევრი გამოთქვამს ვარაუდს, თითქოს მენსელის გამარჯვება და სენას მარცხი დაკავშირებულია ბრაზილიელის შესაძლო გადასვლასთან „უილიამსის“ გუნდში მომავალი სეზონიდან. სენას შედეგს ისინი „გარიგებით მარცხს“ უწოდებენ. თუმცა, ფრენკ უილიამსი კმაყოფილია როგორც მენსელის, ასევე პატრეზეს გამოსვლებით. ასე რომ, სენას ნებისმიერი მათხანის შესაცვლელად დიდი შრომა დასჭირდება.

საბოლოოდ, სენამ მაინც მოახერხა მეოთხე ადგილის დაკავება. მეორე კი, სრულიად მოულოდნელად, ავსტრიელი ბერგერის „მაკლარენი“ აღმოჩნდა. მას 18 წამით ჩამორჩა ფრანგი ალენ პროსტი, რომელიც „ფერარი-643“-ით გამოდიოდა.

არც ამ „გრან პრიმ“ ჩაიარა ჯარიმის გარეშე. თუ წინა ეტაპზე, საფრანგეთში, რბოლის ორგანიზატორები დაჯარიმდნენ, ამჯერად იაპონელი პილოტი აგური სუტეკი დაისაჯა. იგი დაჯარიმეს 10000 დოლარით სახიფათო მართვისთვის, რამაც გამოიწვია სუტეკის „ლაროსის“ შეჯახება ფრანგი ჟან ალეზის „ფერარისთან“.

მსოფლიო ჩემპიონატი ინგლისის „გრან პრი“. 14 ივლისი. „სილვერსტოუნის“ ავტოდრომი. ერთი წრის სიგრძე 5,226 კმ. 59 წრე (308, 334 კმ.).

ერთი წრის გავლის საუკეთესო დრო — ნაიჯელ მენსელი 1. 26. 379 (217, 784 კმ/სთ).

1. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, „უილიამსი“) — 1: 27. 35, 479 (საძალო სიჩქარე 211,190 კმ/სთ.); 2. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „მაკლარენი“) — ჩამორჩა 42,293 წმ.; 3. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „ფერარი“) — 1.00.150; 4. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენი“) — 1 წრე; 5. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბენეტონი“) — 1; 6. ბერნარ გაშო (საფრანგეთი, „ჯორდანი“) — 1; 7. სტეფანო მოდენა (იტალია, „ტირელი“)—1; 8. სატორუ ნაკაძიმა (იაპონია „ტირელი“) — 1, 9. პიერლუიჯი მარტინი(იტალია, „მინარდი“) — 1; 10. ემანუელე პირო (იტალია, „დალარა“) — 2; 11. ჯანი მორბიდელი (იტალია, „მინარდი“) — 2; 12. მიკა ჰაკინენი (ფინეთი, „ლოტუსი“) — 2; 13. ირკი ლეჰტო (ფინეთი, „დალარა“) — 3; 14. ჯონი ჰერბერტი (დიდი ბრიტანეთი, „ლოტუსი“) — 4.

ნაიჯელ მენსელი
დიდი ბრიტანეთი



დაიბადა 1954 წლის 8 აგვისტოს ატონ ონ სევენში (ინგლისი).

საინტერესო დამთხვევაა: ნელვანდელ ჩემპიონატამდე ინგლისელმა პილოტმა სულ ორჯერ (1986, 1987 წლებში) შესძლო საფრანგეთის „გრან პრის“ მოგება, რის შემდეგ ორჯერვე გაიმარჯვა მომდევნო ეტაპზე „სილვერსტოუნში.“ ორიოდე კვირის წინ მენსელმა მესამედ იმარჯვა საფრანგეთში. ასე რომ, მშობლიურ ტრასაზე მისი ტრიუმფი „წინასწარ დაგეგმილი“ იყო.

არადა, შარშან, სწორედ „სილვერსტოუნის“ ეტაპის შემდეგ განაცხადა საჯაროდ, ფორმულაში ასპარეზობას თაყვანებო. ამის მიზეზი ალბათ ისიც იყო, რომ ბოლო სამი წელი „სილვერსტოუნზეც“ და საერთოდ პირველობებში ბედი აშკარად არ სწყალობდა — მხოლოდ სამი ეტაპის მოგება მოახერხა. თუმცა, თვით სპორტსმენის სიტყვებით, იგი „ბორბლებზე ცხოვრებისაგან“ გადაღლილი იყო და სურდა მეტი ყურადღება დაეთმო ოჯახისთვის. როგორც ეხედავთ, მენსელმა აზრი შეიცვალა და ვფიქრობთ, არც ნანობს. საერთოდ ის გაურბის დიდ, ხმაურიან ქალაქებს და ურჩევნია მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად წყნარად იცხოვროს ირლანდიის ზღვაში, პატარა კუნძულ მენზე.

აღსანიშნავია, რომ თავისი საკმაოდ ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე მენსელი სამი გუნდის ლირსებას იცავდა. ესაა „ლოტუსი“, „ფერარი“ და „უილიამსი“. ყველაზე დიდ წარმატებას მან სწორედ „უილიამსში“ მიაღწია. ამ გუნდის შემადგენლობაში 15 „გრან პრი“ მოიგო, ხოლო „ფერარიში“ ასპარეზობის ორი წლის მანძილზე ხულ სამი გამარჯვება იზეიმა.

ამჟამად მენსელის აქტივშია 18 მოგებული „გრან პრი“ 157 რბოლიდან და 322 ქულა.

ბორის მიხაილოვი,
საკადესის კორესპონდენტი,
სპეციალურად „სარბიელისთვის“.

			აშშ	ბრაზილია	სან-მარინო	მონაკო	კანადა	მექსიკა	საფრანგეთი	ინგლისი	გერმანია	უნგრეთი	ბელგია	იტალია	პორტუგალია	ესპანეთი	იაპონია	ავსტრალია	სულ
1	აირტონ სენა ბრაზილია	მაკლარენი	10	10	10	10	—	4	4	3									51
2	ნაიჯელ მენსელი დიდი ბრიტანეთი	უილიამსი	—	—	—	6	1	6	10	10									33
3	რიჩარდ პატრეზე იტალია	უილიამსი	—	6	—	—	4	10	2	—									22
4	ალენ პროსტი საფრანგეთი	ფერარი	6	3	—	2	—	—	6	4									21
5	ნელსონ პიკე ბრაზილია	ბენეტონი	4	2	—	—	10	—	—	2									18
6	გერჰარდ ბერგერი ავსტრია	მაკლარენი	—	4	6	—	—	—	—	6									16
7	სტეფანო მოდენა იტალია	ტირელი	3	—	—	—	6	—	—	—									9
8	ჟან ალეზი საფრანგეთი	ფერარი	—	1	—	4	—	—	3	—									8
9	ანდრეა დე ჩეზარისი იტალია	ჯორდანი	—	—	—	—	3	3	1	—									7
10	რობერტო მორენო ბრაზილია	ბენეტონი	—	—	—	3	—	2	—	—									5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუქსემბურგი

ლუქსემბურგის ჩემპიონატი ორ ეტაპად ტარდება. პირველ ლიგაში 10 გუნდი ასპარეზობს. ორწრიანი ტურნირის შედეგების მიხედვით ექვსი საუკეთესო გუნდი მეორე ეტაპზე ჩემპიონობისთვის იბრძვის, ხოლო დანარჩენი ოთხი — პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის, ამასთან, ჩემპიონის წოდებისთვის მოასპარეზე გუნდებს მეორე ეტაპზე პირველ ეტაპზე მოპოვებული ქულების ნახევარი ეწერებათ.

ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი ქალაქ ლუქსემბურგის „უნიონი" გახდა. თასის ფინალში „უნიონმა" ეშის „ფენესს" მოუგო 3:0.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა მოროკოელი („უნიონი") — 23 გოლი.

1990-91 სეზონის ფინალური ეტაპის საბოლოო ცხრილი

„უნიონი"	10	5	3	2	12-8	28
„ფენესი"	10	5	3	2	16-9	25
„სპორა"	10	4	3	3	17-11	22
„ავენირი"	10	6	0	4	19-14	22
„ჯრეკენმახერი"	10	2	2	6	13-24	16
„ესპერანჟი"	10	2	1	7	12-23	14

ავსტრია

ავსტრიის საფეხბურთო ჩემპიონატი ტრადიციისამებრ ორ ეტაპად ჩატარდა. ჯერ თორმეტმა გუნდმა ორწრიანი ტურნირი ითამაშა, ხოლო მეორე ეტაპზე ბრძოლა რვა საუკეთესო გუნდმა გააგრძელა. ამასთან, მათ თან „წაიღეს" პირველ ეტაპზე დაგროვებული ქულების ნახევარი.

ჩემპიონი ვენის „აუსტრია" გახდა, რომელმაც ერთი ქულით გაუსწრო „ტიროლს". მოულოდნელად დამთავრდა თასის გათამაშება. ფინალში მეორე ლიგის „შტოკერაუმ" დაამარცხა ვენის „რაპიდი" 2:1.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია ჩეხეთსლოვაკელი ვაცლავ დანეკი („ტიროლი") — 28 გოლი.

1990-91 სეზონის საბოლოო ცხრილი

„აუსტრია" (ვენა)	36	22	7	7	72-33	36
„ტიროლი"	36	21	9	6	78-35	35
„შტურმი"	36	18	9	9	60-37	32
„რაპიდი"	36	18	5	13	67-41	27
„აუსტრია" (ზალცბურგი)	36	15	7	14	58-48	24
„ადმირა"	36	9	14	13	31-48	23
„ფორვერტსი"	36	10	12	14	46-57	21
„დონავიცი"	36	9	11	16	38-61	19

ჩრ. ირლანდია

ქვეყნის ჩემპიონი ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთის ისტორიაში მეორედ გახდა ქალაქ პორტადაუნის ამავე სახელწოდების გუნდი. მან ათი ქულით გაუსწრო უახლოეს მდევარს „ბანგორ სიტის". (ჩრდილოეთ ირლანდიის ჩემპიონატში გუნდს გამარჯვებისათვის სამი ქულა ეწერება).

„პორტადაუნმა" ქვეყნის თასიც მოიპოვა, ფინალში „გლენავონს" მოუგო — 2:1.

ჩრდილოეთ ირლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული „გლენავონის" ფეხბურთელმა მაკბრაიდმა მოიპოვა — 22 გოლი.

1990-91 სეზონის საბოლოო ცხრილი

„პორტადაუნი"	30	22	5	3	61-22	71
„ბანგორი"	30	19	4	7	51-29	61
„გლენტორენი"	30	18	6	6	50-32	60
„გლენავონი"	30	17	6	7	61-38	57
„ნიური"	30	15	5	10	50-42	50
„კლიფტონვილი"	30	14	7	9	59-41	49
„ლინფილდი"	30	12	10	8	40-34	46
„ბალიმენა"	30	12	8	10	49-46	44
„ერდასი"	30	12	7	11	47-40	43
„კრუზეიდერსი"	30	11	9	10	53-46	42
„დისტილერი"	30	10	5	15	46-57	35
„ოუმა"	30	10	4	16	48-63	34
„ლარნი"	30	8	6	16	41-59	30
„ბალიკლერი"	30	5	6	19	33-67	21
„კერიკი"	30	4	5	21	30-58	17
„კოლრეინი"	30	2	5	23	25-70	11

ირლანდია

პირველ ლიგაში 12 გუნდი სამ წრედ ასპარეზობს. წელს ჩემპიონი „დანდოლკი" გახდა, თასი კი „გოლვეიმ" მოიპოვა, რომელმაც ფინალში „შემროკი" დაამარცხა 1:0.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია ჰანრაჰანი („დანდოლკი") — 18 გოლი.

პირველ ლიგას დატოვებენ „უოტერფორდი" და „ლიმერიკი". მათ მაგივრად გაისად ითამაშებენ „დროჰედა იუნაიტედი" და „ბრეი უონდერერსი".

1990-91 სეზონის საბოლოო ცხრილი

„დანდოლკი"	33	22	8	3	51-17	52
„კორკი"	33	19	12	2	45-18	50
„სენტ-პატრიკი"	33	17	10	6	46-21	44
„შელბურნი"	33	18	6	9	59-30	42
„სლიგო"	33	13	12	8	34-22	38
„შემროკი"	33	14	9	10	51-37	38
„დერი"	33	13	9	11	51-28	35
„გოლვეი"	33	9	5	19	34-60	23
„ბოჰემიეზი"	33	7	8	18	27-42	22.
„ათლონი"	33	6	7	20	22-53	19
„უოტერფორდი"	33	6	5	22	22-62	17
„ლიმერიკი"	33	6	5	22	21-73	17

სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი

გაბუტული ბებეტო, გადაღლილი რომარიო და... სხვა ამბები

6 ივლისს ჩილეში დაიწყო სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი ფეხბურთში. ათი გუნდი ორ ჯგუფად დაიყო. თითოეულ ჯგუფში ხუთ-ხუთმა ნაკრებმა ერთწრიანი ტურნირი ჩაატარა.

„ა" ჯგუფში მოულოდნელობები არ მომხდარა. არგენტინის ნაკრებმა დამაჯერებლად განვლო ჯგუფური ტურნირი და პირველი ადგილი დაიკავა. ჩემპიონობისათვის ბრძოლას გააგრძელებს ჩილეს ნაკრებიც, რომელიც მეორე ადგილზე გავიდა.

სამაგიეროდ, სენსაციურად დამთავრდა „ბ" ჯგუფის რამდენიმე მატჩი. სამხრეთ ამერიკის ახლანდელი ჩემპიონი ბრაზილიის ნაკრები მეოთხე ტურში დამარცხდა კოლუმბიის ნაკრებთან (0:2), ხოლო მანამდე ფრედ დაამთავრა შეხვედრა ურუგვაელ ფეხბურთელებთან (1:1).

ბრაზილიელთა წარუმატებელი თამაში გარკვეულად შინაგანი განხეთქილებითაა გამოწვეული. გუნდის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა ბებეტომ დატოვა ნაკრების შეკრების ადგილი მას შემდეგ, რაც მწვრთნელმა ფალკაომ უთხრა, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ ჰქონდა. ამას ისიც დაემატა, რომ „ეინდჰოვენის" მოთამაშემ რომარიომ ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა. რომარიომ თქვა რომ ჰოლანდიაში გატარებულმა სეზონმა ძალზე დაღალა და დასვენება არჩია.

ჩემპიონატის ნამდვილ აღმოჩენად კოლუმბიის ნაკრები იქცა. კოლუმბიელებმა საკმაოდ ადვილად დაამარცხეს ბრაზილიის ნაკრები. ორი უპასუხო გოლი დე ავილას და იგუარანის ანგარიშზეა, თუმცა კოლუმბიელთა გამარჯვებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის კარლოს ვალდერამას, რომელიც შესანიშნავად ხელმძღვანელობდა თავის გუნდს.

ჯგუფური ტრნირის ბოლო მატჩში ბრაზილიის ნაკრებს ორი ბურთის სხვაობით უნდა დაემარცხებინა ეკვადორის გუნდი, რათა შემდეგ წრეში გასულიყო. ამ შეხვედრაში მინდორზე ფალკაომ ორი დებიუტანტი, „ბრაგანტინოს" ფეხბურთელები მაზინიო II და სილვიო გამოიყვანა. ანგარიში სწორედ მაზინიო II გახსნა, მაგრამ მალე ეკვადორელებმა წონასწორობა აღადგინეს (მუნიოსი). მეორე ტაიმში ორასიო სანტოსმა თავური დარტყმით კვლავ წინ გაიყვანა ბრაზილიის ნაკრები. ამის შემდეგ მსჯმა უხეში თამაშისათვის მოედნიდან მაზინიო II გააძევა. ბრაზილიელები ათნი დარჩნენ და როცა უკვე ყოველგვარი იმედი გადაწურული ჰქონდათ, მატჩის 89-ე წუთზე ბედმა გაუღიმათ — ლუის ენრიკემ მესამე გოლი გაიტანა და შემდეგ წრეში გაიყვანა თავისი გუნდი — 3:1.

ახლა, ჩემპიონატის მეორე ეტაპზე, ოთხი ნაკრები: არგენტინა, ჩილე, კოლუმბია და ბრაზილია წრიული სისტემით ითამაშებს. ჩემპიონის ვინაობა 21 ივლისს გაირკვევა.

ჯგუფურ ტურნირებში ადგილები საბოლოოდ ასე განაწილდა:

„ა" ჯგუფი

არგენტინა	4	0	0	11-3	8
ჩილე	3	0	1	10-3	6
პარაგვაი	2	0	2	7-8	4
პერუ	1	0	3	9-9	2
ვენესუელა	0	0	4	1-15	0

„ბ" ჯგუფი

კოლუმბია	2	1	1	3-1	5
ბრაზილია	2	1	1	6-5	5
ურუგვაი	1	3	0	4-3	5
ეკვადორი	1	1	2	6-5	3
ბოლივია	0	2	2	2-7	2

ფეხბურთის რუკასთან

ინგლისის ერთ-ერთმა საუკეთესო გუნდმა „ლივერპულმა" ორი ახალი ფეხბურთელი შეიძინა. ესენია „დერბი ქაუნთის" მოთამაშეები: ინგლისის ნაკრების მცველი მარკ რაითი (2,2 მილიონი გირვანქა სტერლინგი) და უელსის ნაკრების თავდამსხმელი დინ სონდერსი (2,9 მილიონი გირვანქა სტერლინგი). სონდერსის საყიდლად გადახდილი თანხა სარეკორდოა ბრიტანეთის კლუბებისათვის. სონდერსი კიდევ ერთ რეკორდს დამყარებ: იგი ინგლისის ლიგაში ყველაზე დიდი ხელფასის მქონე ფეხბურთელი იქნება.

საფრანგეთის ჩემპიონატი ხვალ, 20 ივლისს დაიწყება. საფეხბურთო ლიგის ხელმძღვანელობამ ბოლოსდაბოლოს შეადგინა ჩემპიონატის კალენდარი, მას შემდეგ, რაც „ბრესტს", „ნიცას" და „ბორდოს" უარი ეთქვათ თავიანთ აპელაციაზე და საბოლოოდ გადაწყდა, რომ ეს გუნდები მომავალ სეზონში მეორე ლიგაში ითამაშებენ. სამაგიეროდ, პირველ ლიგაში დარჩა მე-20 ადგილზე გასული „რენი". ჩემპიონატის დაწყებამდე გუნდები საზაფხულო ტურნირებში მონაწილეობდნენ. პარიზის ტურნირის ნახევარფინალში მასპინძელი გუნდი „სენ-ჟერმენი" დამარცხდა ბრაზილიის „ფლამენგოსთან" (0:0, პენალტებით 1:3), ხოლო „მარსელმა" მოუგო ლისაბონის „სპორტინგს" 1:0. მესამე ადგილისთვის მატჩში „სენ-ჟერმენმა" მოუგო „სპორტინგს" 2:1, ხოლო ფინალში „მარსელმა" სძლია „ფლამენგოს" 1:0.

ევროპის საკლუბო ტურნირები

ჟენევაში ჩატარებული კენჭისყრის შემდეგ გაირკვა რომელი გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს ევროპის საკლუბო ტურნირების პირველ ეტაპზე. 18 სექტემბერს წყვილებში პირველად დასახელებული კლუბი იქნება მასპინძელი, საპასუხო მატჩები კი 2 ოქტომბერს გაიმართება. თასების მფლობელთა თასის გათამაშების წინასწარი ეტაპის შეხვედრები უნდა დამთავრდეს არაუგვიანეს 4 სექტემბრისა.

ჩემპიონთა თასი
მეთექვსმეტედფინალი

„ბრონდბიუ" (დანია) — „ზაგლემბე" (პოლონეთი)
„პონვედი" (უნგრეთი) — „დანდალკი" (ირლანდია)
„უნიონი" (ლუქსემბურგი) — „მარსელი" (საფრანგეთი)
„სპარტა" (ჩეხეთსლოვაკეთი) — „გლაზგო რეინჯერსი" (შოტლანდია)
„დინამო" (კიევი, სსრკ) — პიკ (ფინეთი)
„ბარსელონა" (ესპანეთი) — „ანზა" (ობერლიგა, გერმანია)
„ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) — „პორტადაუნი" (ჩრ. ირლანდია)
„უნივერსიტატეა" (რუმინეთი) — „აპოლონი" (კვიპროსი)
„ვიოტებორგი" (შვეიცია) — „ფლამურტარი" (ალბანეთი)
„სამპდორია" (იტალია) — „როზენბორგი" (ნორვეგია)
„ბამრუნ სპარტანი" (მალტა) — „ბენფიკა" (პორტუგალია)
„არსენალი" (ინგლისი) — „აუსტრია" (ავსტრია)
„ბეშიქთაში" (თურქეთი) — „ეინდჰოვენი" (ჰოლანდია)
„ფარამი" (ისლანდია) — „პანათინაიკოსი" (საბერძნეთი)
„ანდერლეხტი" (ბელგია) — „გრასჰოპერსი" (შვეიცარია)
„ყაიზერსლაუტერნი" (გერმანია) — „ეტერი" (ბულგარეთი)

თასების თასი
წინასწარი ეტაპი

„ოდენსე" (დანია) — „გოლუეი" (ირლანდია)
„შტოკერაუ" (ავსტრია) — „ტოტენჰემი" (ინგლისი)

მეთექვსმეტედფინალი

„ნორრიოპინგი" (შვეცია) — „ეენესი" (ლუქსემბურგი)
„გლენავონი" (ჩრ. ირლანდია) — „ილვესი" (ფინეთი)
გკს (პოლონეთი) — „მოზერველი" (შოტლანდია)
„სუონსი" (უელსი) — „მონაკო" (საფრანგეთი)
„შტოკერაუსა" და „ტოტენჰემს" შორის გამარჯვებული — „პაიდუკი" (იუგოსლავია)
„ოდენსე" — „გოლუეის" შორის გამარჯვებული — „პანიკი" (ჩეხეთსლოვაკეთი)
ცსკა (სსრკ) — „რომა" (იტალია)
„ომონია" (კვიპროსი) — „ბრიუგე" (ბელგია)
„სიონი" (შვეიცარია) — „ვალიერი" (ისლანდია)
„ლევსკი" (ბულგარეთი) — „ფურენცეაროში" (უნგრეთი)
„ათინაიკოსი" (საბერძნეთი) — „მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი)
„შტალი" (ობერლიგა, გერმანია) — „გალათასარაი" (თურქეთი)
„ბაკეუ" (რუმინეთი) — „ფერდერი" (გერმანია)
„ლა ვალეტა" (მალტა) — „პორტუ" (პორტუგალია)
„ფიულენგენი" (ნორვეგია) — „ატლეტიკო" (ესპანეთი)
„პარტიზანი" (ალბანეთი) — „ფეიენორდი" (ჰოლანდია)

უეფას თასი
ოცდამეთორმეტედფინალი

„კორკ სიტი" (ირლანდია) — „ბაიერნი" (გერმანია)
„აბერდინი" (შოტლანდია) — „ბ 1903" (დანია)
„გენტი" (ბელგია) — „ლოზანა" (შვეიცარია)
„რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) — „სლოვანი" (ჩეხეთსლოვაკეთი)
„აინტრახტი" (გერმანია) — „სპორა" (ლუქსემბურგი)
„შტურმი" (ავსტრია) — „უტრეხტი" (ჰოლანდია)
„ტალე" (ობერლიგა, გერმანია) — „ტორპედო" (სსრკ)
„ვაც იზო" (უნგრეთი) — „დინამო" (მოსკოვი, სსრკ)
„სპარტაკი" (სსრკ) — „მიკელი" (ფინეთი)
„კანი" (საფრანგეთი) — „ბალგაეროში" (პორტუგალია)
კრ რეიკიავიკი (ისლანდია) — „ტორინო" (იტალია)
„შტუტგარტი" (გერმანია) — „პეჩი" (უნგრეთი)
„სელტიკი" (შოტლანდია) — „ეერმინალი" (ბელგია)
„ლიონი" (საფრანგეთი) — „ესტერი" (შვეცია)
„ოსერი" (საფრანგეთი) — „იკასტი" (დანია)
„ბანგორ სიტი" (ირლანდია) — „სიგმა" (ჩეხეთსლოვაკეთი)
„ლივერპული" (ინგლისი) — „ლახტი" (ფინეთი)
„ჰამბურგი" (გერმანია) — „გურნიკი" (პოლონეთი)
„აიაქსი" (ჰოლანდია) — „ერებრუ" (შვეცია)
„ტირნოლი" (ავსტრია) — „ტრომსე" (ნორვეგია)
ჰაკა (საბერძნეთი) — „მეხელენი" (ბელგია)
„სტი

ამერიკის სტუდენტური კეტბურთის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ცაცია პიტერი ჭიმ ებოტი

დებიუტი პროფესიონალების გარეშე

ამერიკის სტუდენტური კეტბურთის ვარსკვლავები ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში ვერ გამოვლენ; ამ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მხოლოდ მოყვარულებს ექნებათ. — ასე გადაწყდა კეტბურთის საერთაშორისო ფედერაციის (იბა) ამასწინანდელ სესიაზე. ხსენებულ ორგანიზაციაში პოლიტიკას მოყვარულები განსაზღვრავენ, რომლებიც დიდხანს იბრძოდნენ სპორტის ამ სახეობის ოლიმპიადების პროგრამაში შეტანისათვის. ეს ბრძოლა, ბოლოს და ბოლოს, წარმატებით დაგვირგვინდა. 1984 და 1988 წლებში ლოს-ანჯელესისა და სეულის თამაშებზე უკვე მოეწყო კეტბურთელთა საჩვენებელი ტურნირები. და აი, კეტბურთმა ოლიმპიური სტატუსიც მიიღო.

— ჩვენ დიდხანს ველოდით ამ გამარჯვებას. ამიტომ ჩვენს უფლებებს არავის დავუთმობთ: დარწმუნებული ვარ, მსოფლიო კეტბურთში მოყვარულები კიდევ დიდხანს არ დათმობენ პოზიციებს, — ყოველ შემთხვევაში, არც 1996 წელს, არც შემდგომ ისინი ოლიმპიადას პროფესიონალებს არ დაუთმობენ, — განაცხადა იბა-ს პრეზიდენტმა ბობ სმიტმა.

მართალია, ზოგი შიშობს, რომ ოლიმპიადაზე უძლიერეს მოთამაშეთა არყოფნა საგრძნობლად შარყევს კეტბურთის რეპუტაციას — ამგვარი კვოტების გამო ხომ ბევრი ქვეყანა ვეღარ შეძლებს თავისი საუკეთესო კეტბურთელების გამოყვანას. მაგრამ საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობა სხვა აზრისაა. ოლიმპიურ ტურნირში იასპარეზებს რვა თანაბარი ძალის გუნდი, რომელთაგანაც თითოეულს თამამად შეუძლია გამარჯვებაზე იფიქროს. ეს შეჯიბრებას სიმძაფრეს შემატებს. ამასთან, მოყვარულები ოსტატობის დონით დიდად არც ჩამოუვარდებიან პროფესიონალებს. ინტერესს ზრდის ისიც, რომ ბევრი ეროვნული ფედერაცია გამარჯვების შემთხვევაში დიდ ჰონორარს ჰპირდება მოთამაშეებს. მაგალითად, ტაივანის კეტბურთის ფედერაცია 1992 წლის ოლიმპიადის ოქროს მედლისთვის 400 ათას დოლარს დაჰპირდა თავისი გუნდის თითოეულ წევრს.

ჩოგბურთს საფრთხე ემუქრება

სპორტის ეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობა დღითიდღე სულ უფრო მეტად ექცევა ფულის ტყვეობაში. იგი როგორმე უნდა ვიხსნათ — ასე გამოხატა შეშფოთება მსოფლიო ჩოგბურთის ამჟამინდელი მდგომარეობის გამო ფრანგმა ფილიპ შატრიემ. ეს კაცი, რომელსაც ცხოვრების მანძილზე ძალიან ბევრი რამ უნახავს, უკვე ხანდაზმულია და ამ მიზეზით დატოვა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (იტფ) პრეზიდენტის პოსტი.

— დღევანდელი ჩოგბურთის უპირველესი პრობლემა ის არის, რომ პროფესიონალების ირგვლივ ძალიან დიდი ფული ტრიალებს. ეს რყვნის ადამიანს. ჩოგბურთი კარგავს სიწმინდეს, რომლითაც ადრე ასე ვამაყობდით, — ამბობს იგი.

ყოფილი პრეზიდენტის აზრით, როცა ლაპარაკია საუკეთესო ჩოგბურთელთა სოლიდურ კონტრაქტებზე, ამას კიდევ შეიძლება შეურიგდე, რადგან მათ თავიანთი შეუპოვარი შრომით და სპორტისადმი ერთგულებით დაიმსახურეს ყოველივე ეს. მაგრამ, როცა 12-14 წლის ბავშვებთან მართავენ მოლაპარაკებას და ცდილობენ ნახევარმილიონიანი ჰონორარებით გადაიბირონ ისინი, ეს უკვე საშინელებაა.

— მიუხედავად ამისა, ჩოგბურთის გადარჩენა კიდევ შეიძლება. მე ვთხოვ ჩემს შემცვლელს ძალა არ დაზოგოს სპორტის ამ სახეობაში ფულის სულ უფრო მზარდი გავლენის რეგულირებისათვის, — ამბობს იტფ-ის ყოფილი ხელმძღვანელი.

ფილიპ შატრიემ 11 ივლისს მოიხსნა უფლებამოსილება, მისი მემკვიდრე კი 61 წლის ავსტრალიელი ბრაიან ტობინი გახდა. თავის მხრივ ტობინმა განაცხადა, რომ შატრიე, რომელმაც მრავალი წელი შესწირა ჩოგბურთის კეთილდღეობას, იმსახურებს განსაკუთრებულ პატივისცემას და იგი სიცოცხლის ბოლომდე უნდა ატარებდეს საერთაშორისო ფედერაციის საპატიო პრეზიდენტის ტიტულს. რაც შეეხება საფრანგეთს, ფილიპ შატრიე კიდევ ოთხ წელიწადს დარჩება ამ ქვეყნის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტად.

ბრაიან ტობინი 1977-1989 წლებში ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციას ხელმძღვანელობდა. ახალ პოსტზე ტობინი ორი წლის ვადით აირჩიეს და იქნება იტფ-ის პირველი პრეზიდენტი, რომელსაც ხელფასი დაენიშნება.

მოამზადა
ალექსანდრე იმედაშვილმა

ჩოგანი და გიტარა

ჯონი

პატი

ამერიკელ ჯონ მაკინროუსა და ავსტრალიელ პატ კეშისთვის უიმბლდონის ნლეევანდელი ჩემპიონატი ბევრად უფრო ადრე დამთავრდა, ვიდრე თვით სპორტსმენები ისურვებდნენ. ამჯერად ვერც ერთმა ვერ გამოიჩინა თავი კორტებზე. მაგრამ ჩოგბურთელთა ამ ყველაზე პრესტიჟული ასპარეზობის ექსჩემპიონები მაინც ჩინებულ გუნებაზე იყვნენ. ტურნირის ბოლო დღეებში ლონდონში გაიყიდა ფირფიტა ჯონისა და პატის მიერ შესრულებული სიმღერების ჩანაწერებით.

როგორც გაირკვა, მაკინროუ და კეში დიდი ხანია გატაცებული ყოფილან თანამედროვე მუსიკით და ესტრადაზეც ბევრჯერ გამოსულან. ჩოგბურთის სამყაროში მათ საუკეთესო როკ-გიტარისტების სახელი მოიპოვეს და ხშირად ატარებდნენ კონცერტებს. უიმბლდონის ტურნირის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, კეშმა, რომელიც ლონდონში ცხოვრობს, ჯონი თავისთან მიიწვია. ხანმოკლე ერთობლივი რეპეტიციის შემდეგ ცნობილმა სპროტსმენებმა ლონდონის როკენროლის ერთ-ერთ სტუდიაში ანსამბლ „ფულ-მეტალ-რაკეტსის“ თანხლებით ჩაწერეს თავიანთი პირველი გრამფირფიტა, რომელიც ჩოგბურთის მოყვარულებმა სწრაფად დაიტაცეს.

ევროპის საკლუბო ჩემპიონაზი?

ყინულზე ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციას (იიჰფ) სერიოზულად აქვს განზრახული საკლუბო გუნდების ტურნირის გამართვა ევროპული ლიგის ფარგლებში. უკვე დამუშავდა ამ შეჯიბრების კონცეფცია ეროვნულ პირველობათა გათვალისწინებით. ევროპული ლიგა უნდა შედგეს სამი ჯგუფისაგან, რომელთაგან თითოეული თავის ჩემპიონატს ჩაატარებს. „ა“ ჯგუფში ანუ „გლობალურ ლიგაში“, როგორც მას უწოდებენ, გაერთიანდებიან შვეიცის, ჩეხეთსლოვაკეთის, სსრ კავშირის, ფინეთის, შვეიცარიისა და გერმანიის გუნდები. „ბ“ ჯგუფში ისაპარეზებენ იტალიის, ავსტრიის, იუგოსლავიისა და რუმინეთის წარმომადგენლები. „გ“ ჯგუფში შევიდნენ ნორვეგიის, დანიის, დიდი ბრიტანეთის, ჰოლანდიის, საფრანგეთისა და იტალიის ჰოკეისტები.

ვარაუდობენ, რომ ევროპული ლიგის პირველი ტურნირი 1992-93 წლების სეზონში მოეწყობა.

ოლიმპიადამდე დარჩა...

1998 წლის ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქად იაპონიის ქალაქ ნაგანოს არჩევით გამოწვეული სიხარული და ეიფორია ჯერ კიდევ არ ნელდება. ქალაქი, სადაც 350 ათასი ადამიანი ცხოვრობს, ჯერაც არ მოსულა გონს. მაგრამ ამავე დროს იაპონიის საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა უკვე სერიოზულად მოჰკიდეს ხელი საქმეს. წინასწარი მონაცემებით, ნაგანოში თამაშების გამართვას 860 მილიონი დოლარი დასჭირდება.

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა მისოძი საკამოტომ სატელევიზიო გამოსვლისას მიულოცა თანამემამულეებს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობამ უნდა იკისროს აუცილებელი ხარჯების ნახევარი და მშენებლობა. გამოცხადდა აგრეთვე, რომ ხარჯების ნაწილს თავის თავზე აიღებს სოკ-ის წევრი იაპონიისაგნ, სასტუმროს მაგნატი იოსიიაკი ცუცუში. იგი სოკ-ის პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩის ახლო მეგობარია, რამაც ერთგვარად განსაზღვრა კიდეც ნაგანოს გამარჯვება. მისი წინადადებით ქალაქის ვაგზლის წინ, მოედანზე, ერთ დღე-ღამეში აღიმართა ხუთმეტრიანი განათებული ეკრანი. ის გამვლელ-გამომვლელს უჩვენებს, რამდენი დარჩა 1998 წლის ოლიპიადის დაწყებამდე.

ფიფა-ს პრეზიდენტი ფიქრობს...

— ფიფა და პირადად მე ამის მომხრენი ვართ, რომ XXI საუკუნის მსოფლიო ჩემპიონატები აზიისა და აფრიკის კონტინენტებზე ჩატარდეს, — განაცხადა ლისაბონში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა.

— ჩვენ უკვე ჩავატარეთ მსოფლიო საფეხბურთო დღესასწაულები ევროპასა და ლათინურ ამერიკაში. ახლა, 1994 წელს, გენწრახული გვაქვს ჩრდილოეთ ამერიკას ვესტუმროთ. მომავალში, გვინდა, მსოფლიო პირველობა აზიის რომელიმე ქვეყანაში ან აფრიკის სამხრეთში გაიმართოს.

როგორც ჟოაო აველანჟი ამბობს, აზია მეჩიდროდ დასახლებული კონტინენტია და აქაურ მოსახლეობას ძალიან უყვარს ფეხბურთი. „ამიტომ გვინდა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ამ რეგიონში ჩატარება, — ამბობს აველანჟი. — დღეს ამ ასპარეზობის მასპინძლობა თამამად შეუძლიათ სამხრეთ კორეას და იაპონიას, მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოებს, რომლებსაც, ამავე დროს, დიდი კომპლექსური შეჯიბრებების გამართვის გამოცდილებაც აქვთ. რაც შეეხება აფრიკას, თუ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში რასობრივი პრობლემების გადაჭრა მოხერხდა, მე ამ ქვეყანას დიდი სიამოვნებით დავაკისრებდი 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობას“.

შემდეგ პრეზიდენტმა შენიშა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა 1976 წელს გაირიცხა საერთაშორისო საფეხბურთო თანამეგობრობიდან, მაგრამ 1992 წელს ციურიხში ფიფა-ს კონგრესი განიხილავს ამ ორგანიზაციაში მისი დაბრუნების საკითხს.

აქეთური, იქითური...

ცნობილმა იუგოსლავიელმა, ყველაზე ბურთელმა, ევროპის ჩემპიონმა ბორის ვრანკოვიჩმა, მას შემდეგ რაც დატოვა საბერძნეთის უძლიერესი კლუბი „არისი“ (სადაც ის ნიკოს გალისის გვერდით თამაშობდა) სახელგანთქმულ პროფესიულ კლუბს „ბოსტონ სელტიქსს“ მიაშურა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ აქ იგი ისეთი წარმატებით თამაშობდეს, როგორც მისი თანამემამულე ვლადო დივაცი — „ლეიკერსში“. მიუხედავად ამისა ერთი რამ ნათელია. „ბოსტონ სელტიქსის“ სკოლა ვრანკოვიჩისთვის უკვალოდ არ ჩაივლის.

■ ■ ■

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა გადაწყვიტა 2000 წლის ოლიმპიადის ჩატარების ადგილის შესარჩევად მოწყობილ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება სპორტსმენსაც მისცეს. ამგვარად 1993 წელს მონაკოში სოკის სესიაზე, სადაც ოლიმპიადის დედაქალაქის საკითხი უნდა გადაწყდეს, ხმის უფლებით მიიწვევენ სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ ათლეტებს. ამ სპორტსმენებს სოკ-ს ხელმძღვანელობა დაასახელებს.

■ ■ ■

კვლავ გრძელდება ნიჭიერ ჭოკეისტთა „სვლა“ ევროპიდან ამერიკისაკენ. თავის პარტნიორთა მაგალითს მიჰბაძა შვეიცის ნაკრების კიდევ ერთმა წევრმა ნიკლას ლინდსტრემმა. „ვესტეროსის“ 21 წლის მცველი ნჰლ-ს კლუბ „დეტროიტ რედ უინგზში“ მიიწვიეს.

■ ■ ■

შვეიცარიაში გასულ სეზონის საუკეთესო ფრენბურთელად დასახელეს სპორტსმენები, რომლებიც სხვა ქვეყნების მოჭალაქეებად ითვლებიან. შვეიცარიის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდების მწვრთნელთა შორის მოწყობილი გამოკითხვის შედეგად ქალებში საუკეთესო აღმოჩნდა ჩინელი სიღან ანი, დედაქალაქის „ჟენევ-ელიტელის“ მოთამაშე. ვაჟთა კონკურსში გაიმარჯვა კანადელმა ტერი დანილიუკმა (მონ რეს „ლეიზინი“).

■ ■ ■

ინგლისის ჩოგბურთის ფედერაციის შემოსავალი თანდათან მატულობს. განსაკუთრებით შემოსავალიანია უიმბლდონის ტურნირი. ამავე დროს, თვით ჩოგბურთი ინგლისში უკან და უკან მიდის. რამდენი წელიწადია დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებს თავი არაფრით გამოუჩენიათ საერთაშორისო სარბიელზე. საფრანგეთის ღია ჩემპიონატში მათ გამანადგურებელი მარცხი იწვნიეს: იგივე განმეორდა უიმბლდონის ტურნირშიც. ბრიტანელები პირველივე ეტაპზე ეთიშებიან ბრძოლას.

■ ■ ■

ჩვენს დროში, როცა მოყვარულები ლამის მასობრივად გადადიან პროფესიონალებში, ინგლისის რაგბისტთა ნაკრების კაპიტანი უილ კარლინგი სხვების ფონზე ერთგვარი „თეთრი ყვავივით“ ჩანს. მოყვარულთა კლუბ „ჰერლეკინის“ 25 წლის თავდამსხმელმა უარყო ლიდსის „რაგბის ლიგის“ ხელმძღვანელთა წინადადება, რომლებმაც მას პროფესიონალებში გადასვლის საფასურად მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზეს. ეს იქნებოდა სარეკორდო თანხა მსოფლიო რაგბის ისტორიაში, მაგრამ გარიგება არ შედგა. დღესდღეობით კვლავ სარეკორდოდ რჩება ლიდსელ მაგნატთა კონტრაქტი: შარშან მათ ავსტრალიის კლუბ „ოლ ბლეკსიდან“ 400 ათასი გირვანქა სტერლინგად გადაიბირეს ჯონ გალაპერი.

აქეთური, იქითური...

PALAVANI • ПАЛАВАНИ
ფალავანი

„სარბიელის“ სპონსორია ასოციაცია „ფალავანი“

გამოდის
პარასკევობით
სარბიელი
ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380060, ცაგერის ქ. №6, ბ.30.
გაზეთ „სარბიელის“ რედაქცია.
ტელეფონი: 38-39-93.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა
კომპიუტერით ჩსს გამოთვლით
ცენტრში. ტელეფონი 35-26-44
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით
საგაზეთო კორპუსში
თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.
სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ძორძია (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალოლაშვილი, გიორგი ჩოჩიშვილი.
კომერციული დირექტორი შოთა ჯულუხაძე.